# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 იანვარი 2002 №3 (1525) | ფასი 50 თეთრი


# ერიჰა!
# ჰა ერი: ჰაერი

## შარშან მორაგბეებს მთელი საქართველო სიყვარულს უმტკიცებდა. წლეულს ბორჯღალოსნებს თბილისში თამაში სახვეწარი აქვთ



შარშან თავმომწონე ქართველ მორაგბე-ლეგიონერებს თავიანთ უცხოელ თანაგუნდელებთან თავი არ გამოეყოფათ: ვინ და როგორ გაუგებს, რატომ ვერ ახერხებენ თბილისში თამაშს



მია ახალაძის ფოტოები

ლევან ცაბაძე: ერთა თასი მოგვიგია და შინ თამაშის ღირსიც არა ვართ?!

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# მელბურნი: მემორიალური დაფების გამოფენა



გორან ივანიშევიჩი

REUTERS მელბურნიდან




ავსტრალიის ღია პირველობის ელიტისგან წმენდა უკვე ჩვეულ ამბად იქცა. მეორე წრეში გედის სიმღერა თქვეს სებასტიენ გროჟანმა, ევგენი კაფელნიკოვმა და უიმბლდონის ჩემპიონმა გორან ივანიშევიჩმა. მომდევნო ეშელონებში გამოცოცხლება იგრძნობა: როცა ამგვარი ხალხი გზას არ გილობავს, ცხოვრება ბევრად იოლი ხდება. თუმცა სრულ საბრძოლო ფორმაშია ტიმ ჰენმანი და ორ მეტოქეს ბდღვირი ადინა. წინ მიდის პიტ სამპრასიც...

ქალებში სხვა სიტუაციაა... უმაღლესი სახელის მქონეთაგან ჯერ არავინ გავარდნილა. შარშანდელი ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი , მარტინა ჰინგისი, ვინუს უილიამსი, და სხვები თამაშს თამაშზე იგებენ.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ჯენიფერ კაპრიატი

REUTERS მელბურნიდან



ევგენი კაფელნიკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიონი — ბასტია. მასპინძელმა სიდნეი გოვუმ (№14) ბურთს თავი უჩვენა

REUTERS

# ფული ცოტა, პრობლემა ბევრი

## სამგურალს ისევ გიგატაძე უთავკაცებს



გია გიგატაძე

**მე-13 ეროვნულის** საშემოდგომო ეტაპი უხეიროდ ჩაამთავრა „სამგურალმა". ჩემპიონატის სასტარტო ტურებში მოპოვებულ ორ გამარჯვებას წყალტუბოელებმა სექტემბრიდან მოყოლებული, ერთიც ვერ შეამატეს და აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდნენ. უმაღლესი ლიგის ყველაზე ხელმოკლე კლუბში ფინანსურთან ერთად სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი. გეხსომებათ, „სამგურალმა" ბოლო მატჩები უმთავარმწვრთნელოდ ჩაატარა. გია გიგატაძე გუნდს ისე ჩამოშორდა, მიზეზიც არ გაუმხელია... თუმცა იმას კი ამბობდა, თუ კლუბის ხელმძღვანელობა საქმის ვითარებაში გაერკვევა, გუნდში ჩემს დარჩენას საჭიროდ ჩათვლის, სიძნელეებს არ შევუშინდები, მუშაობას გავაგრძელებო. საქმის ვითარებაში გასარკვევად, გიგატაძის „სამგურალში" ყოფნა-არყოფნის საკითხის გადასაწყვეტად კლუბის მესვეურები ჯერ კიდევ შუა დეკემბერში აპირებდნენ საერთო კრების მოწვევას, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ მოიცალეს და კრებასაც არც მეტი, არც ნაკლები, მთელი თვე დააგვიანდა.

გუშინწინ კი „სამგურალის" პრეზიდენტი ზაზა სოფრომაძე მწვრთნელებს და ფეხბურთელებს შეხვდა. ლამის ყველას სათითაოდ ესაუბრა და ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ცხადიც შეიქნა. საბოლოოდ გაირკვა, რომ „სამგურალს" ისევ გია გიგატაძე უთავკაცებს და დიდი ცვლილებები არც შემადგენლობასთან დაკავშირებითაა მოსალოდნელი. გუნდი თითქმის იმავე კონტინგენტით გააგრძელებს ჩემპიონატს.

დღესდღეობით „სამგურალი" მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა დატოვა. მეკარე ოთარ ვარდანიძემ და წინახაზელმა გიორგი მიქაძემ, რომელიც წყალტუბოში „ვიტ ჯორჯიადან" იყო მივლინებული და, სავარაუდოდ, მომავალში პირველლიგელ თსუ-ს დაეხმარება. ნახევარმცველი ზვიად ფხაკაძე კი ახლა ფოთის „კოლხეთში" ისინჯება და თუ იქ ვერ მოიკიდა ფეხი, ისევ „სამგურალს" დაუბრუნდება.

გია გიგატაძის განკარგულებაში მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე ახალწვეული იქნება. ლაპარაკია ქუთაისელ და წყალტუბოელ ჭაბუკ ფეხბურთელებზე და ერთ საკმაოდ სტაჟიანზეც. „სამგურალთან" ერთად ვარჯიშს შეუდგა 29 წლის ფორვარდი გიორგი თათარაშვილი. გიორგის ადრე „ქუთაისი 2"-ში, „აისში", „უქიმერიონში" უთამაშია. მე-6 ეროვნულში „ტორპედოს" განაცხადშიც გახლდათ. მერე ბელარუსს მიაშურა და 7 სეზონი იქაურ უმაღლესლიგელ სლონიმის „კომუნალნიკში" და პირველლიგელ სვეტლოგორსკის „ხიმიკში" ირჯებოდა და არცთუ ურიგოდ. თათარაშვილი წყალტუბოური გუნდისთვის უთუოდ კარგი შენაძენი იქნება, ეგ არის, „სამგურალს" გარკვეული საკომპენსაციო თანხის გადახდა მოუწევს ამ ფეხბურთელში, ხოლო გამოიძებნება თუ არა ეს თანხა, ძნელი სათქმელია.

სიახლეა „სამგურალის" მწვრთნელთა ბანაკშიც. გია გიგატაძეს ავთანდილ ჯანელიძესთან ერთად თანაშემწეობას 36 წლის გელა წიქარიშვილი გაუწევს. ხანგრძლივი სათამაშო კარიერის („ტორპედო", „სამგურალი", „მარგვეთი", რუსული „სამოტლორი", „ოკეანი", „ჩკალოვეცი") შემდეგ გელა მწვრთნელობაშიც ცდის ბედს.

წყალტუბოელები მთელ მოსამზადებელ ეტაპს, ისევ და ისევ ხელმოკლეობის გამო, ოდენ წყალტუბოში გაივლიან. ჯერ ყურადღება მოთამაშეების ფიზიკური კონდიციების აღდგენას დაეთმობა.

**იუზა ძაძიტაძე წყალტუბოდან**

# ჩამოვა მარკო და ჩამოიყვანს იტალიელებს

**საგაზაფხულო** ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს „ბათუმი".

ასლან ბალაძემ გუნდი 5 იანვარს შეკრიბა და ათდღიანი ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის შემდეგ საკონტროლო მატჩისთვისაც მოიცალა.

„ბათუმი" გუშინ ფოთს ესტუმრა და „კოლხეთს" გაეჯიბრა ამხანაგურად.

მწვრთნელებმა ასეთი შემადგენლობით ათამაშეს გუნდები:

***კოლხეთი:*** *ჩემია (ქვაჩახია 46), ჯაბუა, ფხაკაძე, ნადარაია, აკობია (მუმლაძე 46), ჭანტურიძე (გოროზია 46), ქადაგიძე (ტორჩინავა 46), დაუშვილი, ფანჩულიძე, ოდიკაძე, ონიანი (გვასალია 46)*

***ბათუმი:*** *ბალაძე, გალოგრე, კ. სიხარულიძე, გორგილაძე, ა. სიხარულიძე, ჩიჩუა, ცინარიძე, კუნჭულია, ფურცხვანიძე, ფირცხალაიშვილი, გვიანიძე*

„კოლხეთმა" 3:1 მოიგო მუმლაძის, ოდიკაძის და გვასალიას გოლებით. ასლან ბალაძემ სარეზერვო შემადგენლობა ჩაიყვანა ფოთში. არც გაემტყუნება, „ბათუმში" ამჟამად 40 ფეხბურთელი ვარჯიშობს. მათგან ბევრი გამოუცდელია. ისინი ძირითადად „ბათუმის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილები არიან და პირველ გუნდში მოხვედრას ლამობენ, მწვრთნელსაც ისლა დარჩენია, ნაყოფიერად ჩაატაროს სელექცია.

„კოლხეთთან" მატჩში სტუმრები დიმიტრი ფირცხალაიშვილმა დააწინაურა. გეხსომებათ, ეს ფეხბურთელი საშემოდგომო ეტაპზე ხესტაფონის „მეტალურგში" თამაშობდა და გუნდში ყველაზე გამორჩეულიც იყო. ფირცხალაიშვილი უკვე მეოთხე დღეა, ბათუმშია და ცდილობს, ზღვისპირელებს თავი მოაწონოს. მისი გარჯით ბალაძე უკმაყოფილო არაა, მაგრამ დიმიტრის გაბათუმელების პერსპექტივა ჯერაც ბუნდოვანია. მსგავსი სიტუაციაა 26 წლის ავთანდილ სიხარულიძესთან დაკავშირებითაც. ეს ფეხბურთელი „ბათუმის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და ბოლო ორი წელი ტერნოპოლის „ნივაში" თამაშობდა.

გადაწყვეტილია ავთანდილ გვიანიძის ამბავი. „ნივას" კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი უკვე ბათუმელია. კლუბმა მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ასლან ბალაძე კი ერთობ კმაყოფილია ახალწვეულით: „გვიანიძის დიდი იმედი მაქვს, უნივერსალური ფეხბურთელია, თანაც უკრაინაში თამაშით დიდი გამოცდილება შეიძინა და მჯერა, „ბათუმს" ერთობ წაადგება" — გვითხრა ბალაძემ გუშინდელი სატელეფონო საუბრისას.

ბათუმში იტალიელი ლეგიონერების ჩამოსვლაზეც საუბრობენ. ბალაძის თქმით, ლაპარაკია ორ ფეხბურთელზე, რომელთაგან ერთი ფორვარდია, მეორე კი მცველი. კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მარკო კანისტრალე დღეს დაბრუნდება იტალიიდან და ბევრი რამ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, თუმც ბალაძეს საეჭვოდ მიაჩნია საქართველოში ფეხბურთის სათამაშოდ ჩასულმა იტალიელებმა საქმეში ივარგონ.

„ბათუმის" მოსამზადებელ გეგმებში ცვლილება არ მომხდარა. ხვალ ბალაძის გუნდი ისევ „კოლხეთს" გაეჯიბრება, ზეგ კი ბაკურიანში გაემგზავრება ათი დღით.

1 და 2 თებერვალს „ბათუმს" თსუსთან გაჯიბრება აქვს დაგეგმილი. იმ დროისთვის სტუდენტები ქობულეთში იქნებიან შეკრებაზე. 3 თებერვალს კი ზღვისპირელები ბულგარეთში გაემგზავრებიან, სადაც 22 თებერვლამდე დარჩებიან. ბათუმელებმა ბულგარეთში ფაქსი გაგზავნეს, მასპინძლებს ექვსი საკონტროლო მატჩისთვის მეტოქეების გამოძებნა სთხოვეს. ბულგარეთიდან პასუხს დღე-დღეზე ელიან. ექვსიდან სამი ძლიერი მეტოქე გვყოლია, მათთან თამაში მეტ სარგებლობას მოგვიტანსო, ამბობს ბალაძე.

**ბაატა ძმანტალიანი**

# კოლხეთი კვირკველიათი ვაჭრობს

## გვასალიას პენსია დაუგვიანეს



ელდარ გვასალია

**ერთი კვირაა,** სოსო ფილია „კოლხეთს" ოფლს აღვრის. საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადება ფოთელებს ორ ნაწილად დაუგეგმავთ. „ფაზისის" მკვიდრნი ფოთში 31 იანვრამდე ივარჯიშებენ, ხოლო 1 თებერვლიდან ბარგს შეკრავენ და საკუთარი „ნეოპლანით" ტრადიციულ შეკრებაზე წავლენ ნესებრში. ბულგარეთში 20 დღეს იქნებიან და ჩემპიონატის განახლებამდე ერთი კვირით ადრე შინ დაბრუნდებიან.

„კოლხეთის" ხელმძღვანელები ახალი მოთამაშეების შერჩევით არიან გართულნი. დღეს ფოთში ვარჯიშობენ ლანჩხუთის „გურიადან" კონსტანტინე მეტრეველი და დავით ოდიკაძე, ბოლნისელი კახა დაუშვილი. სოსო ფილიამ ფარმ-კლუბიდან ოთხი ახალგაზრდა ტრისტან ნადარაია, მამუკა ჩარგაზია, ბაჩუკი გვაზავა და გიორგი ჭედია ძირითად გუნდში გადაიყვანა.

გუშინდლამდე ახალწვეულებად ითვლებოდნენ ზუგდიდელი ლუხუმ ჯაბუა და წყალტუბოელი ზვიად ფხაკაძე, რომლებიც მწვრთნელმა უკან გააბრუნა. ჯერაც აკვირდებიან ხობელ შმაგი ონიანს, რომელსაც შანსი კიდევ მიეცემა.

სოსო ფილიამ ზაზა მიქელთაძე გუნდიდან დაითხოვა, ხოლო დავით ვართაგავა მეზობელ ხობში გაასხვისა. ერთ დროს იმედისმომცემი მცველი შალვა ჩხენკელი „კოლხეთს" და ფეხბურთს საბოლოოდ დაეთხოვა. შალვამ სამი წლის წინ თბილისში, „მერანთან" პრინციპულ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო. მან ერთხელ ოპერაციაც გადაიტანა, მაგრამ კარიერის გასაგრძელებლად ხელმეორე ოპერაცია იყო საჭირო, რაზეც ჩხენკელმა უარი თქვა.

კლუბის თავკაცებმა როგორღაც მოახერხეს და „საპენსიოდ" გამზადებული ელდარ გვასალია გუნდში დატოვეს. მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია კი უცხოეთში აპირებს თამაშის გაგრძელებას. მისი მოსურნე ორი-სამი კლუბი „კოლხეთს" დღესაც ევაჭრება. ფოთელებმა დავითი 150 ათას დოლარად შეაფასეს და ვნახოთ, ვინ იქნება გადამხდელი. ისე, ყველაზე მეტ ინტერესს ხარკოვის „მეტალისტი" იჩენსო.

„კოლხეთი" 18 იანვარს „ბათუმს" გაეჯიბრება ამხანაგურად. 27 და 30 იანვარს ყვავილნარში შეკრებაზე მყოფ თსუ-ს, ხოლო 24 იანვარს „ქობულეთთან" მოსინჯავენ ფოთელები ძალას. ნესებრში გამგზავრებამდე ასეთი სავარაუდო განრიგი შეუდგენია ფილიას.

**მამუკა ძმანტალიანი**

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი — გადადებული მატჩი**

კრისტალ პალასი 3:1 ჯილინგემი

**მეორე დივიზიონი — გადადებული მატჩი**

ოლდემი 2:0 სუინდონი

**ასოციაციის თასი — ოცდამეთორმეტედფინალი**

ქოვენთრი (I) 0:2 ტოტენჰემი

როტერჰემი (I) 2:1 საუთჰემპტონი

სტოკპორტი (I) 1:4 ბოლტონი

**გადათამაშება**

ბლეკბერნი 3:1 ბარნსლი (I)

ჩელსი 4:0 ნორვიჩი (I)

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი — გადადებული მატჩები**

მონპელიე 1:1 მონაკო

ლიონი 0:0 ბასტია

ლილი 2:2 ბორდო

ტრუა 2:0 მეცი

ოსერი 2:2 ლორიანი

**მეორე დივიზიონი — გადადებული მატჩები**

სტრასბური — ისტრი გადაიდო

კრეტეი 2:0 ვალანსი

**ლიგის თასი. მეოთხედფინალი**

ნანსი (II) 3:2 შატორუ (II)

## პორტუგალია

**თასის მეოთხედფინალი**

ლეიქსოესი 3:1 პორტიმონენსე

სალგეირუში 2:2 დ.დ. (2:2) მარიტიმუ

ვილა რეალი 0:4 სპორტინგი

პორტუ 1:2 ბრაგა

## იტალია

**თასის მეოთხედფინალი**

ლაციო 2:3 მილანი (1:2)

## ესპანეთი

**თასის მეოთხედფინალი — საპასუხო მატჩები**

ვალიადოლიდი 2:1 დ.დ. (2:0) დეპორტივო (0:2)

რაიო ვალიეკანო 1:0 რეალი (0:4)

ფიგერესი (III) 0:0 კორდობა (II) (2:0)

## ბელგია

**თასის მერვედფინალი**

ანტვერპენი 1:1 დ.დ. (პენ. 3:4, 1:1) ბრიუგე

**თასის მეოთხედფინალი**

ლიერსი 0:2 სინტ ტრუიდენი

ლუვენი 0:2 ლოკერენი

## საბერძნეთი

**თასის მერვედფინალი — პირველი მატჩი**

ირაკლისი 1:0 პანათინაიკოსი

**საპასუხო მატჩები**

ქსანთი 1:0 იონიკოსი (0:0)

პანაჰაიკი 1:2 დ.დ. (0:0) არისი (0:0)

აგალეო 0:3 ოლიმპიაკოსი (1:5)

## შოტლანდია

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

გალა ფეირლდინი (გ) 0:5 ფორფარი (I)

**გადათამაშება**

ფოლკირკი (I) 0:1 დანდი

## ამხანაგური მატჩები

გამბია 0:2 მაროკო

საუდის არაბეთი 1:1 ქუვეითი

ბურკინა ფასო 2:1 ზამბია



# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XI ტური. 16 იანვარი**

**A ჯგუფი**

ბენეტონი 100:71 ალბა

ეფესი 63:51 შლიონსკი

ოლიმპიაკოსი 81:80 უნიკახა

**C ჯგუფი**

კრკა 107:95 ცსკა

**D ჯგუფი**

პარტიზანი 59:65 ტაუ

აეკ 68:70 სკავოლინი

ვილეურბანი 89:76 ოსტენდე

ციბონა 102:97 ურალ გრეიტი

ვერ გამოდგნენ დანდელი ექიმები კარგი დასტაქრები. შარშან დეკემბერში დაშავებულ **ზურაბ ხიზანიშვილს** უთხრეს, მუხლის ტკივილი ოპერაციის გარეშე გაგივლისო, მაგრამ ჩვენებურს თურმე მენისკი ჰქონია და ისე გასულა სათამაშოდ მომდევნო მატჩზე, სადაც კიდევ ერთი ტრავმა მიიღო. ამის შემყურე „დანდის" იტალიელმა მენეჯერმა ივანო ბონეტიმ ხიზანიშვილს ბოლონიაში უკრა თავი — ჩემს სამშობლოში უკეთესი ექიმები არიან და მათთან იმკურნალეო.

„დანდის" და საქართველოს ერონული ნაკრების 20 წლის მცველი ახლაც ბოლონიაშია და ჩვენც იქ დავუკავშირდით.



# გაიხიზნება ხიზანიშვილი?

## ნეტავ მაკლიშის გულში ჩამახედა...

— ოპერაცია 7 იანვარს გამიკეთეს. მენისკის გარდა ჯვარედინა მყესები მქონდა დაზიანებული, ასე რომ, ფაქტობრივად, ორი ოპერაცია ჩამიტარდა. ბოლონიაში ალბათ ერთი თვე კიდევ დავრჩები სარეაბილიტაციო კურსისთვის და შოტლანდიაში მერელა დავბრუნდები. ახლა მასაჟებითა და ლაზერით მკურნალობენ, მალე ფეხის ვარჯიშებს დავიწყებ და უყავარჯნოდ გავლასაც შემაჩვევენ. დანდიში დაბრუნებულს ნახევარი თვე კიდევ მომიწევს მოცდა და მერე მსუბუქ ვარჯიშებსაც შევუდგები.

**— შენით რომ „რეინჯერსი" იყო დაინტერესებული, ამაზე რას იტყვი?**

— მართლაც ასე იყო, მაგრამ მაშინ გუნდის მენეჯერი დიკ ადვოკაატი გახლდათ. ახლა კი, ალექს მაკლიშის „რეინჯერსის" მწვრთნელად დანიშვნის მერე არ ვიცი, რა ვითარებაა.

**— ისიც ითქვა, ლონდონის „არსენალმა" კვლავ დაადგა თვალი ხიზანიშვილსო...**

— ასეთი ლაპარაკი მხოლოდ ჭორის დონეზე იყო.

**— გასაგებია, მაგრამ „დანდის" დატოვება და უკეთეს კლუბში გადასვლის პერსპექტივა ხომ გხიბლავს?**

— „დანდისთან" კონტრაქტი 2003 წლამდე მაკავშირებს, მაგრამ თუ კარგი გუნდი გამოჩნდება, აუცილებლად წავალ „დანდიდან" — ჩემი კარიერისთვის ასე აჯობებს.

**— მანამდე კი ბოლონიაში ალბათ თავს ძალიან მარტოდ გრძნობ.**

— არც ისე. აქ კიდევ ერთი დანდელი მარჩელო მაროკოცაა. ისიც სარეაბილიტაციო პერიოდს გაივლის.

**დავით თავართქილაძე**

# ანჩელოტი უფლებამოსილია განაცხადოს: კახა კალაძე სრულუფლებიანია!

**ნააახალწლევს** ქართველ ლეგიონერთა გუნდების უმრავლესობა ჯერაც მოსამზადებელი საქმიანობით დაკავებულა. ვინ შინ ემზადება, ვინ თბილ ქვეყნებში წასულა, ვინაც ნაირგვარ ტურნირებში მონაწილეობს. ბრიტანეთში კი ჩემპიონატები ტრადიციულად, შეუსვენებლად გრძელდება. ეგ არის, ჩვენებურთაგან ცოტანი თუ თამაშობენ, შოტლანდიაში გიორგი ნემსაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს სერიოზული ტრავმები აწუხებთ, ინგლისში გიორგი ქინქლაძეს „დერბიში" გული აღარ უდგება, გაურკვეველია რატი ალექსიძის ბედიც, „ჩელსიში" კი ირიცხება, მაგრამ წლეულს ამ გუნდის ძირითადში არ გამოჩენილა, თითქოს შემოდგომაზე სხვაგან გადასვლას აპირებდა, თუმც ჯერჯერობით ისევ „ლურჯებთანაა" და მთავარ გუნდში გზის გაკვლევას ცდილობს.

კარლო ანჩელოტიმ სიტყვა შეასრულა და ქართველი სეხნია ძირითადში დააბრუნა. იანვარში „მილანმა" სამი ოფიციალური მატჩი გამართა და კალაძემ სამივეში 90 წუთს ითამაშა. ანჩელოტი ამბობს, რომ წლეულს „მილანი" ყველაფრის მოგებას აპირებს და ქართველი თავისი გუნდის სრულუფლებიან წევრად მიაჩნია. ეს მართლაც სასიამოვნო ამბავია. კახას სწორედ ახლა, ოჯახური უსიამოვნებებისგან დაღლილს სჭირდება ფსიქოლოგიურად მოძლიერება, მერე კი ყველაფერი თავისი გზით წავა.

უახლოეს დღეებში ესპანურ პრიმერა დივიზიონში ლეგიონერი აღარ გვეყოლება. სან სებასტიანის რეალსოსიედადელი გიორგი დემეტრაძე თავის კლუბს, სავარაუდოდ, ერთი წლით დაემშვიდობება და კარიერას ალბათ რუსეთში გააგრძელებს. მერე კი უკეთეს ვარიანტებს დაელოდება.

**სოლომონ გულისაშვილი**



„მილანი" — „ბრეშა" 0:0. კახა კალაძემ (№13) სტუმართა თავდამსხმელს გასაქანი არ მისცა

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ბლეკბერნი 1:0 | 0 | | 10 | 0 | 18 |
| | დერბი | შ | ფულემი 0:1 | 0 | | 10 | 0 | 18 |
| | დერბი | ს | ასტონ ვილა 1:2 | 68 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 11 | 0 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ნიუკასლი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| | ჩელსი | შ | საუთჰემპტონი 2:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| | ჩელსი | ს | ბოლტონი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | მოზერუელი 2:4 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 8 |
| | დანდი | შ | ჰიბერნიანი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 8 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | მოზერუელი 2:4 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 0 | 8 |
| | დანდი | შ | ჰიბერნიანი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 0 | 8 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | ს | მოზერუელი 2:4 | 90 | | 11 | 2 | 8 |
| | დანდი | შ | ჰიბერნიანი 1:0 | 90 | | 12 | 2 | 8 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | სტ. ჯონსტონი 1:0 | 90 | | 13 | 9 | 2 |
| | რეინჯერსი | შ | ლივინგსტონი 3:0 | 83 | შეცვალეს | 14 | 9 | 2 |
| **შოტლანდია. ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალი** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ფოლკირკი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ფოლკირკი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| თემურ ქეცბაია | დანდი | შ | ფოლკირკი 1:1 | 90 | | 1 | 0 | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ბერვიკი 0:0 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლეჩე 1:0 | 90 | | 15 | 1 | 5 |
| | მილანი | შ | ბრეშა 0:0 | 90 | | 16 | 1 | 5 |
| **იტალია. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლაციო 2:1 | 90 | | 3 | 0 | |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლოკერენი 1:2 | 0 | სათადარიგო | 11 | 0 | 13 |
| მამუკა ნერეთელი | ლიერსი | ს | ლოკერენი 1:2 | 0 | სამუშაო ვიზის მოლოდინშია | 2 | 0 | 13 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ეთნიკოსი ახნასი 0:0 | 0 | | 8 | 3 | 4 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | შ | ეთნიკოსი ასიასი 6:3 | 75 | 1 გოლი, შეცვალეს | 12 | 4 | 11 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | ს | აელ ლიმასოლი 1:2 | 71 | შეცვალეს | 11 | 3 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | ს | აელ ლიმასოლი 1:2 | 90 | | 11 | 0 | 14 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# შენგელიამ აპოლონთან ხელი მოაწერა. ჯვარს მაისში დაიწერს

**ქუთაისის „ტორპედოს"** 22 წლის ნახევარმცველი გიორგი შენგელია სეზონის ბოლომდე კვიპროსულ ლიმასოლის „აპოლონში" ითამაშებს.

ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშე (18 მატჩი, 2 გოლი) ქუთაისურ კლუბს სამწლიანი განშორების შემდეგ შარშან, ზაფხულში დაუბრუნდა, მაგრამ ჩემპიონის მაისურა სულ 5-ჯერ მოირგო, გოლიც ერთადერთხელ გაიტანა.

ქუთაისურმა კლუბმაც და ფეხბურთელმაც გაყრა ამჯობინეს.

შენგელია მეხუთე ქართველია, ვინც წლეულს კვიპროსის ჩემპიონატში ჩაერთვება. აქამდე ხმელთაშუაზღვის ამ კუნძულზე „პარალიმნის" ლევან ქებაძე, „პაფოსის" ლევან მაღრაძე და არადიპუს ერმის-ის ქართული დუეტი გიორგი ქორიძე და გურამ ასპინძელაშვილი თამაშობდნენ.

შენგელიას დებიუტი შაბათს სწორედ ერთ-ერთი ქართველის წინააღმდეგ შედგა. კვიპროსის თასის მეორე ეტაპის პირველ მატჩში „აპოლონმა" „პაფოსი" 1:0 დაამარცხა. ლევან მაღრაძემ და გიორგი შენგელიამ ერთდროულად ნახევარ საათს ითამაშეს, ლიმასოლელთა თავკაცმა ტონი სავევსკიმ გიორგი №19 მაისურით მოედანზე 61-ე წუთზე შეუშვა. 15 წუთში შენგელიას მოპოვებულ კუთხურს მილენკო სპოლიარიჩის გოლი მოჰყვა.

„აპოლონი" შენგელიას პირველი უცხოური კლუბია. აქამდე მას ქუთაისის „ტორპედოს" გარდა თბილისის „მრეტებში", თბილისის „დინამოში", წყალტუბოს „სამგურალსა" და თბილისის „ლოკომოტივში" უთამაშია.

ბოლო ერთი თვე გიორგისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებით დატვირთული გამოდგა. ახალ წლამდე შენგელიამ 18 წლის ანა გაბუნია შეირთო და მეუღლეს კვიპროსზე დღე-დღეზე ელის.

ჯვარს კი, ალბათ, თბილისში დაბრუნების შემდეგ დაიწერს. კვიპროსზე სეზონი აპრილის ბოლოს დასრულდება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



გიორგი შენგელიამ „ტორპედოს" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას კვიპროსზე თამაში არჩია

# საამპრილოდ იანვარში

## ჟორჟიკაშვილმა ნაკრები ხელოვნურად შეკრიბა

**შობა-ახალი** წლის შემდეგ ქართულმა ფეხბურთმა გამოღვიძება დაიწყო და გუნდებიც შეძლებისდაგვარად მომავალი ეტაპისთვის სამზადისს შეუდგნენ. მათ არც საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები ჩამორჩა. მოგეხსენებათ, ქართველმა ჩვიდმეტწლამდელებმა შარშან ოქტომბერში თბილისში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იმარჯვეს და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს.

კობა ჟორჟიკაშვილმა გუნდი უკვე შეკრიბა და დღეში ერთჯერადი ვარჯიშები დაუნიშნა. ჭაბუკები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე არსებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე იღებენ ოფლს და არც ტრენაჟორებზე კუნთების გამაგრებაზე ამბობენ უარს.

ნაკრების თავკაცის განკარგულებაში ერთი-ორი გამონაკლისის გარდა თითქმის ყველა სასურველი მოთამაშეა.

— ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშებით შემოვიფარგლებით. ამხანაგური მატჩების სათამაშოდ ჯერ მზად არ ვართ. უცხოურ შეკრებაზე წასვლა ბოლომდე არ გადაწყვეტილა. ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა — გვითხრა გუშინ კობა ჟორჟიკაშვილმა.

მისივე თქმით, კლუბებისგან ფეხბურთელების გამოშვებაზე პრობლემები არ შექმნია და ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

ქართველი ჭაბუკები დანიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე აპრილში გაემგზავრებიან.

**კახა შალამბერიძე**



კობა ჟორჟიკაშვილი

Cup of Nations 2002 **აფრიკის ერთვნებათა თასი 2002 (მალი). 19 იანვარი — 10 თებერვალი**

# მაროკოს შანსი ძველი დიდებაა

## სამხრეთელთა ალტერნატივო არჩევანი

*ნესით და რიგით, ამ ჯგუფში ფავორიტის გამოცნობა უნდა გაჭირდეს. უფრო იოლი იმის თქმაა, თუ ვინ ვერ გააღწევს შემდეგ ეტაპზე და, სავარაუდოდ, ეს ბურკინა ფასო იქნება.*

„ბაფანა ბაფანას", როგორც სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უწოდებენ, აფრიკის ერთვნებათა თასზე თამაშის ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ისტორია აქვს. მოგეხსენებათ, აპარტეიდის ანუ შავკანიანთა დისკრიმინაციის გამო სამხრეთელები მთელი მსოფლიოსგან მოკვეთილები იყვნენ და ფეხბურთსაც ვინ გააკარებდა, მით უფრო „შავ კონტინენტზე".

მაგრამ სამხრეთ აფრიკამ შავი პრეზიდენტი აირჩია თუ არა, შედეგს უმალ მიაღწია. უკეთესი რა იქნებოდა — ნაკრებმა სულ სამჯერ ითამაშა თასზე, პირველივე ცდაზე ჩემპიონი გახდა, მეორედ ფინალში დამარცხდა, წინა ტურნირზე კი ნახევარფინალში გააღწია (ჯაჭვს თუ გავყვებით, ახლა მეოთხედფინალიდან უნდა გავარდეს).

და თუ რას იზამს „ბაფანა ბაფანა" მალიში, ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, რომელთაც მწვრთნელმა კარლოს კეიროსმა არჩევანის თავისუფლება მისცა — ვისაც კლუბში თამაში გირჩევნიათ, შეგიძლიათ, არ შემოგვიერთდეთო. ოღონდ კი გააფრთხილა, ვინც აფრიკის თასზე არ ითამაშებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის იმედი ნუ ექნებაო.

ამან გაჭრა და უარი არავის უთქვამს. თუმცა ბოლო წამს კაპიტან შონ ბარტლეტს „ჩარლტონში" პრობლემები შეექმნა, მალიში არ ჩასულა და რაკი ეს ამბავი დაგვიანებით შეიტყვეს, ბარტლეტის განაცხადიდან ამოშლა არ მოესწრო.

დაშავებული კი ორია — მარკ ფიში და ლუკას რადებე. მათ წინა სამ ტურნირზე უთამაშიათ და გუნდს უდავოდ დიდად დააკლდებიან. სამაგიეროდ, საუკეთესო ფორმაში არიან კვინტონ ფორჩუნი და სიბუსისო ზუმა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაციიდან ქუთაისის „ტორპედოს" გამომგდებია.

ოთხი წლის წინ მაროკო სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მუსტაფა ჰაჯი საუკეთესო ფორმაში იყო და „ატლასის ლომებმა" გამართული ფეხბურთი ითამაშეს.

ახლა მაროკოს ნაკრებს ცუდი დრო უდგას. აფრიკის თასის წინა გათამაშებაზე გუნდი ჯგუფში ჩარჩა და ეს დიდი დარტყმა იყო. ახლახან კი კორეა-იაპონიასაც გამოემშვიდობა და ეს უფრო დიდი დარტყმა გახდა. მუსტაფა ჰაჯი ნაკრებიდან წავიდა და მისი შემცვლელი უმბერტუ კოელიუმ ეგრეც ვერ იპოვა. პორტუგალიელი მწვრთნელი ჩივის, ნაკრებში გოლის გამტანი არავინ მყავსო, თუმც ეს შეჯიბრიც თუ ჩააგდეს, კოელიუს მოხსნისგან ვერანაირი მიზეზი ვერ უშველის.



განელთათვის გატანა ძნელია — სამუელ კუფური ჰყავთ

ისე ჩანს, მაროკო ძველი დიდების იმედად თუ იქნება.

განას კონტინენტზე ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის სახელი აქვს და, შესაბამისად, ფავორიტთა შორის ითვლება, მაგრამ ბევრი განელი იმასაც ფიქრობს, ვაითუ ჯგუფიდანაც ვერ გავაღწიოთო. როცა მეტოქეებად თუნდაც დასუსტებული, მაგრამ მაინც მაროკო და ძლიერი სამხრეთ აფრიკა გყავს, ამგვარი შეშფოთება უსაფუძვლო როდია.

„შავი ვარსკვლავების" გუნდში თითქმის ყველანი ევროპაში მოთამაშეები არიან, თუმც აბედი პელესა და ტონი იებოას დონის გამთამაშებელი ნამდვილად აკლიათ. სამაგიეროდ, ჰყავთ სამუელ კუფური და მწვრთნელი ფრედ ოსამ-დუოდო — კაცი, რომელმაც ერთხელ, 1978 წელს, უკვე მოაგებინა აფრიკის თასი.

ბურკინა ფასო კი, როგორც მოგახსენეთ, უდავო აუტსაიდერად ითვლება.

**გიორგი დარჯანია**



სიბუსისო ზუმა „ტორპედოსთან" მატჩისას

## აფრიკის ერთვნებათა თასის რეკორდები

**ჩემპიონობა:** ეგვიპტე — 4 (1957, 1959, 1986, 1998);
განა — 4 (1963, 1965, 1978, 1982)
**ფინალში გასვლა:** განა — 7 (1963, 1965, 1968, 1970, 1978, 1982, 1992)
**ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა:** ეგვიპტე — 17 (ამ ჩემპიონატის ჩათვლით)
**ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტი მატჩი:** ეგვიპტე — 65
**ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტი მოგება:** ეგვიპტე — 33
**ყველაზე მეტი გატანილი გოლი:** ეგვიპტე — 106
**ფინალურ ეტაპზე ყველაზე მეტი თამაში:**
ალენ გუამანე (კოტ დივუარი) — 7 ტურნირი, 24 მატჩი
**ფინალურ მატჩში მონაწილეობა:**
ალი ელ ფანაგელი (ეგვიპტე) — 3 (1957, 1959, 1962);
ჯონს ატაკუაიეფიო (განა) — 3 (1965, 1968, 1970);
ჩარლზ ადო ოდამეტიე (განა) — 3 (1963, 1965, 1968)
**საუკეთესო ბომბარდირი:** ლორან პოკუ (კოტ დივუარი) — 14 (1968, 1970)
**ერთ ტურნირზე ყველაზე მეტი გოლი:** მულუმბა ნდაიე (ზაირი) — 9 (1974)
**ერთ მატჩში გატანილი გოლი:** ლორან პოკუ — 5 (კოტ დივუარი 6:1 ეთიოპია, 1970)
**უსწრაფესი გოლი:** აიმან მანსური — 23-ე წამი (ეგვიპტე 4:0 გაბონი, 1994)
**ყველაზე უხვგოლიანი მატჩი:** ეგვიპტე 6:3 ნიგერია, 1963
**უყრმესი მოთამაშე:** შივა ნზიგუ (სამხრეთ აფრიკა) — 16 წლის და სამი თვის (2000)
**ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელი:** ჩარლზ გიამფი (განა) — 3 (1963, 1965, 1982)

## მონაწილეთა განაცხადები. B ჯგუფი

### სამხ. აფრიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჰანს ვონკი | ჰერენვენი, ჰოლანდია |
| 16 | ბრაიან ბალოი | კაიზერ ჩიფსი |
| 22 | ანდრე არენდსე | სანტოსი |
| | **მცველები** | |
| 2 | მბულელო მაბიზელო | ორლანდო პაირატსი |
| 3 | ბრედლი კარნელი | შტუტგარტი, გერმანია |
| 4 | დავიდ კანმაირი | აიაქს კეიპტაუნი |
| 5 | მეთიუ ბუთი | მამელოდი სანდაუნსი |
| 6 | მაკბეტ სიბაია | ჯომო კოსმოსი |
| 13 | პიერ ისა | უოტფორდი, ინგლისი |
| 19 | აარონ მოკოენა | ბეერსხოტი, ბელგია |
| 20 | ფრანკ შოემანი | უგუნდოდ |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | კვინტონ ფორჩუნი | მანჩესტერ იუნ., ინგლისი |
| 8 | ტაბო მნგუმნი | ორლანდო პაირატსი |
| 10 | ბენეტ მნგუნი | მამელოდი სანდაუნსი |
| 12 | დილონ შეპარდი | აიაქს კეიპტაუნი |
| 18 | დელრონ ბაკლი | ბოხუმი, გერმანია |
| 21 | ერიკ ტინკლერი | ბარნსლი, ინგლისი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | შონ ბარტლეტი | ჩარლტონი, ინგლისი |
| 11 | ბრედლი აუგუსტი | სანტოსი |
| 14 | სიაბონგა ნომვეტე | უდინეზე, იტალია |
| 15 | სიბუსისო ზუმა | კოპენჰაგენი, დანია |
| 17 | ბენი მაკკარტი | პორტუ, პორტუგალია |

**მწვრთნელი: კარლოს კეიროსი (მოზამბიკი)**

### განა

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჯეიმს ნანორი | ჰართს ოფ ოკი |
| 12 | სემი აჯეი | ჰართს ოფ ოკი |
| 22 | აბუბაქარი კანკანი | გაპოჰა |
| | **მცველები** | |
| 2 | მოჰამედ ჰამზა | რეალ ტამალე იუნაიტედი |
| 4 | სამუელ კუფური | ბაიერნი, გერმანია |
| 5 | ჯონ მენსა | ჯენოა, იტალია |
| 6 | ამანკვა მირეკუ | ჰართს ოფ ოი |
| 14 | ჟორჟ ბლეი | სტანდარდი, ბელგია |
| 15 | პრინსტონ ოვუსუ-ანსა | აბუასი გოლდფილდსი |
| 19 | კოფი ამპონსაჰი | პაოკ, საბერძნეთი |
| 21 | ჯონ პანცილი | ბერეკუმ არსენალი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | ემანუელ კუფური | ჰართს ოფ ოკი |
| 7 | მეთიუ ამოა | ვიტესი, ჰოლანდია |
| 8 | მიკაელ ესიენი | ბასტია, საფრანგეთი |
| 9 | პრინს ამოაკო | სატურნი, რუსეთი |
| 16 | ემანუელ დუა | ლეირია, პორტუგალია |
| 20 | რაზაკ იბრაჰიმი | ემპოლი, იტალია |
| | **თავდამსხმელები** | |
| 10 | დერეკ ბოატენგი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |
| 11 | ალექს ტაჩე-მენსა | ქსამაქსი, შვეიცარია |
| 13 | ისააკ ბოაკიე | აბუასი გოლდფილდსი |
| 17 | ბაფორ გიანი | ლიბერეცი, ჩეხეთი |
| 18 | ისმაელ ადო | ჰართს ოფ ოკი |

**მწვრთნელი: ფრედ ოსამ-დუოდო**

### ბურკინა ფასო

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ისუფუ სავადოგო | ეტოილ ფილანტე |
| 16 | კადრე კონტუგონდე | უსფა |
| 22 | მოჰამედ კაბორე | ასფა იენეგა |
| | **მცველები** | |
| 2 | ლამინა ტრაორე | ანდერლეხტი, ბელგია |
| 3 | ბრაჰიმა სისე | ფენდუბასფორი, თურქეთი |
| 4 | მამადუ ტალი | ბურსასფორი, თურქეთი |
| 5 | მადუ დოსამა | ეტოილ ფილანტე |
| 12 | სუმაილა ტასემბედო | ეტოილ ფილანტე |
| 15 | უსმან ტრაორე | ვალენსია, ესპანეთი |
| 20 | ბურეიმა უატარა | რსბ |
| 21 | ფირმინ სანუ | ვალენსია, ესპანეთი |
| | **ნახევარმცველი** | |
| 6 | საიფუ პანანდეტიგირი | ბორდო, საფრანგეთი |
| 8 | ისა ზონგო | სატელიტი |
| 10 | ალი უედრაოგო | ეტოილ ფილანტე |
| 13 | რომეო კამბუ | ბანი იასი, ქუვეითი |
| 17 | ნარცის იამეოგო | ჟანა დარკი, სენეგალი |
| 18 | ამადუ ტურე | ასფა |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ალასან უედრაოგო | კიოლნი, გერმანია |
| 9 | ოუმარ ბარო | ბრონდბიუ, დანია |
| 11 | ვილფრიდ სანუ | ფეტიროლი, ავსტრია |
| 15 | ტანგუი ბარო | რსბ |
| 19 | მუმუნი დაგანო | გენკი, ბელგია |

**მწვრთნელები: პიური ვებოანგა და ჟაკ იამეოგო**

### მაროკო

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | აბდელილაჰ ბაგუი | მაღრიბი |
| 2 | ტარიკ ჟარმუნი | ვიდადი |
| 3 | დრის ბენზექრი | სეტატი |
| | **მცველები** | |
| 4 | აბდესლამ უადუ | ფულემი, ინგლისი |
| 5 | აბდელილაჰ ფაჰმი | ლილი, საფრანგეთი |
| 6 | ნურედინ ნაიბეტი | დეპორტივო, ესპანეთი |
| 16 | ჟარბი ამზინი | ტრუა, საფრანგეთი |
| 20 | აკრამ რუმანი | გენკი, ბელგია |
| 21 | ბადრი ალ-კადური | ვიდადი |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | ფაუზი ალ-ბრაზი | ტვენტე, ჰოლანდია |
| 12 | ნურედინ ბუხარი | სპარტა, ჰოლანდია |
| 13 | ოტმან ალ-ასასი | ხურიბგა |
| 15 | იუსუფ საფრი | ქოვენთრი, ინგლისი |
| 17 | იუსუფ ჩიპო | ქოვენთრი, ინგლისი |
| 22 | რაშიდ ბენმაჰმუდი | ალ აჰლი, საუდეთი |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | რაბი ალ-აფუი | ვიდადი |
| 9 | აბდელილილ ჰადა | კლუბ აფრიკანი, ტუნისი |
| 10 | ადილ რამზი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია |
| 11 | ჰიშამ ზერუალი | აბერდინი, შოტლანდია |
| 14 | სალაჰედინ ბასირი | ლილი, საფრანგეთი |
| 18 | ტარიკ შიამი | ციურიხი, შვეიცარია |
| 19 | რაშიდ როკი | ალ ტავოონი, ყატარი |

**მწვრთნელი: უმბერტუ კოელიუ (პორტუგალია)**



ფაბრიციო რავანელიმ ბილ მაკოუნს თავი დაუხარა



ბრიუს რიოკი

# გამატარეთ! ლეგენდა და ცოდნა მომაქვს

„დერბი ქაუნთის" ოფისში ბევრი განცხადება დაგროვდა. უიმედოდ მწვრთნელებმა არ დაიზარეს და წერილობით ამცნეს კლუბის ხელმძღვანელობას, რომ გუნდის გაწვრთნა სურთ.

„დერბის" ჯერჯერობით სარეზერვო გუნდის მენეჯერი ბილ მაკოუნი თავკაცობს. რაც შეეხება ფაბრიციო რავანელის, მან ეთიკის სრული დაცვით ამცნო საზოგადოებას თავისი მერყევი ხასიათის შესახებ: „მე უკვე შევიცვალე აზრი გუნდის მენეჯერად გახდომის თაობაზე და თუ მაინც შემომთავაზებენ მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსს, ზრდილობიანად შევუთვლი უარს".

ამასობაში „ცხვრების" მენეჯერობით დაინტერესდა გუნდის 70-იანი წლების ლეგენდარული ფორვარდი ბრიუს რიოკი, რომელიც 1970 წელს „დერბისთან" ერთად ინგლისის ჩემპიონი შეიქნა. 1978 წლის არგენტინულ მუნდიალზე შოტლანდიის ეროვნულ გუნდს კაპიტნობდა. სამწვრთნელო კარიერა „ბოლტონის", „მიდლსბროს", „მილუოლის" და „უიგანის" გარდა „არსენალშიც" განვლო.

ლონდონური კლუბი მისი ხელმძღვანელობით 1995 წელს თასების თასის ფინალშიც კი გავიდა, თუმც „სარაგოსასთან" დამარცხდა. „მე დიდი გამოცდილება და ცოდნა დამიგროვდა, რაც, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ფეხბურთელებისთვისაც და ყველასთვის, ვინც კლუბში იქნება დასაქმებული" — თავს იქებს ბრიუს რიოკი.

**დავით თავართქილაძე**




სემი ჰიპიას ავტოგრაფების დარიგება წიგნის დახლთანაც მოუხდა

# ჰიიპიამ მანჩესტერის დასაცინად წიგნი დაწერა

ფლევანდელი პრემიერლიგის საჩემპიონოდ მიმართული „ლივერპულის" ფინელი კაპიტანი სემი ჰიპია უკვე კარგა ხანია, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. „ლივერპულის" დიდი ტრადიციები კარგად მოგეხსენებათ, ისიც ვიცით, რომ კაპიტნის სამკლაურის ასეთ გუნდებში შემთხვევითი კაცი ვერ მოირგებს. სემი ჰიპია მესამე წელია, რაც ჰოლანდიური „ტილბურგიდან" „ენფილდზე" გადაბარგდა, მანამდე კი მშობლიურ ფინეთში, კლუბ „ვოიკკაანის" ღირსებას იცავდა. სკანდინაველმა მცველმა ინგლისურ გრანდთან ერთად შარშან პირველი ევროპული ჯილდოც დაისაკუთრა.

სემი ჰიპიამ, მაიკლ ოუენმა და მათსავით მარჯვე ლივერპულელმა ბიჭებმა შარშან ლიგის და ასოციაციის თასებს უეფას თასი, შემდეგ კი ევროპის სუპერთასიც მიაყოლეს.

წლეულს სემი ჰიპიას ფეხბურთის სამშობლოში უპირველეს ტიტულად მიჩნეული პრემიერლიგის მოგება აქვს განზრახული. ჟურნალისტებთან საუბარში იგი თავის გულისნადებს არ მალავს. იმასაც აღნიშნავს, რომ გუნდში თავს ბედნიერად გრძნობს და ჯერჯერობით წასვლას არ აპირებს: „ოდესღაც, ალბათ, ასე 33-34 წლისა, „ლივერპულიდან" ატარგებაზე ვფიქრებ. თუ ვინმე ასეთ „ხანდაზმულს" ორ-სამ წლიან ხელსაყრელ კონტრაქტს შემომთავაზებს, სიამოვნებით დავთანხმდები".

მანამდე კი ჰიპია „ლივერპულშია". ფინელ მცველს, არაერთი წარმატებული ფეხბურთელის დარად, ავტობიოგრაფიული წიგნი „ვოიკაადან პრემიერლიგამდე" გამოუცია. წიგნის პრეზენტაციაზე ფინელმა იხუმრა: „მემუარული ჟანრის ტრფიალთ ინგლისურ საფეხბურთო წრეებში მაინცდამაინც არ სწყალობენ. თუმცა ჩემი საფეხბურთო თავგადასავალი მაინც აღვწერე. არც ის მგონია, ამის გამო ერთ კვირაში საყვარელი კლუბიდან წასვლის საშიშროება დამემუქროს". ხუმრობა კი მოსწრებული იყო და ბევრსაც გაეღიმა, თუმცა, ვფიქრობთ, იმ კაცს, ვისკენაც იუმორის მახვილი იყო მიმართული, სემის ენამჭევრობა არცთუ დიდად ეამა. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, ერთ დროს მსოფლიოს უძვირესმა მცველმა იაპ სტამმა, შედგა თუ არა სამწერლო ასპარეზზე ფეხი, „მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურთა რისხვა დაიმსახურა. იგი ავტობიოგრაფიული წიგნის დაბადებიდან სულ რამდენიმე დღეში მართლაც რომ ძროხასავით (როგორც თვითონ თქვა) გაყიდეს იტალიურ „ლაციოში". მაგრამ „ლივერპული" ხომ „მანჩესტერი" არ არის.

**გიორგი გამარდაშვილი**

# ვან გაალს სხვისი ცოლები აინტერესებს

ამჟამინდ დასასრული ყველაფერს აქვს და მათ შორის სერ ალექს ფერგიუსონის მოღვაწეობას „მანჩესტერ იუნაიტედში". ამ სეზონის ბოლოს შოტლანდიელი მწვრთნელი კლუბს დატოვებს და რაც უფრო უახლოვდება დასასრულს სეზონი, მით უფრო აქტიურად ალაპარაკდნენ მის მემკვიდრეზე. ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობა კონკრეტულად არავის ასახელებს, მაგრამ ჟურნალისტებს რა გააჩუმებს. ისინი ცდილობენ, მანამდე გამოიცნონ ის პიროვნება. ინგლისელი ჟურნალისტები ბევრ კანდიდატზე საუბრობენ, მაგრამ დარწმუნებით, ცხადია, ვერაფერს ამბობენ. მათ შორის ყველაზე მკაფიოდ მაინც ლუის ვან გაალის სახელი იკვეთება. იგი აქამდეც დაუფარავად აცხადებდა, რომ დიდი სიამოვნებით იმუშავებდა ნისლიან ალბიონზე, თუნდაც ეს პრემიერლიგის საშუალო დონის კლუბი ყოფილიყო, „მანჩესტერ იუნაიტედი" კი, მოგეხსენებათ...



ლუის ვან გაალს საშუალო ინგლისურიც აწყობს

ვან გაალი გახსენეთ და გავაგრძელოთ მასზე ლაპარაკი. მისი თანამემამულე, ბარსელონელი ფრანკ დე ბური მას დაღებითად ახასიათებს. ეს ბუნებრივიცაა. „აიაქსში" ერთად მუშაობის დროს ხომ მათ ჩემპიონთა თასი აღმართეს. 1995 წლის შემდეგ თანამშრომლობა გააგრძელეს „ბარსელონაში" და ჰოლანდიის ნაკრებში. ტყუპისცალი აცხადებს: „ჩემთვის ცნობილია, რომ შესაძლოა, ვან გაალი დაინიშნოს „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელად. ინფორმაცია მე არ მაკვირვებს, მას ჩემთან საუბარში ბევრჯერ გამოუხატავს ინგლისური კლუბების მიმართ სიმპათიები და მათი გაწვრთნის სურვილი გამოუთქვამს. თანაც იგი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი იმათგანია, რომელთაც შესწევთ უნარი იმუშაონ „მანჩესტერში". მასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს როგორც კლუბში, ისე ნაკრებში. ის არის კაცი, რომელსაც შეუძლია, შესანიშნავად გადასცეს შეგირდებს თავისი ჩანაფიქრი. იგი ყოფილი ფეხბურთელია და მოთამაშეებთან ურთიერთობის პრობლემა არ ექნება, ვან გაალს ყველაფერი აინტერესებს მათ შესახებ — აქვთ თუ არა ბედნიერი ოჯახი, კარგად არიან თუ არა მათი შვილები, რადგან ხვდება, რომ თუ ეს ყველაფერი წესრიგში არ არის, ფეხბურთელის სათამაშო დონეზე აისახება. იგი აგრეთვე გამოირჩევა მკაცრი დისციპლინით და მე არ ვიცი, როგორ მიეჩვევიან ამას „იუნაიტედის" ფეხბურთელები."

**ზურაბ რუხაძე შვილი**

# უკეთესი არ არსებობს
## ვერონი დაკარგულ დროს მისტირის

პრემიერლიგის მოსაგებად რთული ბრძოლა მოგვიწევს, თუმცა ჩემპიონები მაინც უნდა გავხდეთ — ასეთია „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ფაბიენ ბარტეზის აზრი, მას შემდეგ, რაც სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ამ სეზონში პირველად აცოცდა სატურნირო ცხრილის სათავეში. არადა, მოგეხსენებათ, დაახლოებით თვენახევრის წინ, როცა „მანჩესტერმა" შინ „ვესტ ჰემთან" წააგო, ცხრილის შუამდეც კი დაქვეითდა. ამ პერიოდს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მეკარე ასე აღწერს: „გუნდს კრიზისული პერიოდი დაუდგა და მცირე ქაოსიც დაიწყო. თუმც ჩვენ არ შეგვშინებია. მუშაობას ჩვეულად განვაგრძობდით და აი, შედეგიც მივიღეთ".



ფაბიენ ბარტეზი

რვა თამაშიდან რვა მოგებაზე უკეთესი შედეგი კი არ არსებობს. მართალია, ნაკლები ჩატარებული თამაშის გამო მანჩესტერელებს შესაძლოა „არსენალმა" გადაუსწროს, მაგრამ ბარტეზი ამაზე არ წუხს და ამბობს, ახლა ხომ პირველები ვართ და ეს არის მთავარი. ისიც გავიხსენოთ, რომ „ვესტ ჰემთან" მარცხის შემდეგ ბუქმეიკერებმა არნახულად გაზარდეს კოეფიციენტები „მანჩესტერის" ჩემპიონობაზე. მაშინ სერ ალექსის გუნდის პირველობა 10-1-თან ფასდებოდა, თუმცა გასულმა თვენახევარმა და „იუნაიტედის" მოგებებმა ეს აზრი, ცხადია, შეცვალა — კოეფიციენტებმა დაიწია.

ინგლისის ჩემპიონთა კიდევ ერთი ფრანგი, 24 წლის მიკაელ სილვესტრი ამბობს: „ვითარებას კვლავ ჩვენ ვაკონტროლებთ. ხუან სებასტიან ვერონმა და რუუდ ვან ნისტელროიმ როგორც იქნა, იპოვეს თავიანთი ადგილი. მოგებას მოგება მოსდევს, ახლა მთავარია, ეს შემართება არ მინელდეს".



ხუან სებასტიან ვერონი

„წითელ ეშმაკთა" არგენტინელი ლეგიონერი ხუან სებასტიან ვერონი, რომელსაც გუნდში დებიუტს უწუნებდნენ და ერთხანს ჭორებიც კი გავრცელდა მის „ლაციოში" შესაძლო დაბრუნებაზე, ამბობს: „ინგლისში გატარებული ყოველი დღე მსიამოვნებს. პრემიერლიგა უფრო მეტია, ვიდრე ველოდი, ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, უფრო ადრე რატომ არ დავიწყე ბრიტანეთში თამაში. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ აქ ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ცხოვრობ. თამაშიც უფრო გიადვილდება. „მანჩესტერი" კი უდიდესი კლუბია მსოფლიოში".

ვერონმა სცადა, იტალიური და ინგლისური ფეხბურთი ერთმანეთისთვის შეედარებინა: „ამ ორ ქვეყანაში საქმისადმი მიდგომა ძალიან განსხვავებულია. სერია A-ში იმხელა ზეწოლას გრძნობ, ძალიან რთულია, მოედანზე დამშვიდებული გახვიდე. ხოლო როცა იძაბები, ბუნებრივია, მეტ შეცდომას უშვებ. ინგლისელ ფანებზე და მათ უშუალობაზე შემიძლია, სამი დღე ვილაპარაკო. ტრიბუნებიდან ასეთ სითბოს ჩვეული არ ვიყავი, რაც ახლა ძალიან მსიამოვნებს".

თუ რა არის, „მანჩესტერ იუნაიტედის" თვენახევრიანი ტრიუმფის მთავარი საიდუმლო, ამას უელსელი რაიან გიგზი ასე განმარტავს: „საგანგებო ფორმულა არ არსებობს. ვარჯიშებიც ჩვეულებრივად გრძელდება და რაიმე რადიკალური ცვლილებაც არ ყოფილა. უბრალოდ, ინდივიდუალური შეცდომები დავიყვანეთ მინიმუმამდე. ეს კი ადრე ძალიან ძვირად გვიჯდებოდა".

**ნიკა შუბლაძე**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი
### მილუოლი 1:0 უოტფორდი

1:0 კლარიჯი (33)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 28 | 17 | 4 | 7 | 66:37 | 55 |
| მილუოლი | 29 | 15 | 7 | 7 | 50:30 | 52 |
| ვულვზი | 28 | 15 | 7 | 6 | 43:24 | 52 |
| ბარნლი | 27 | 15 | 6 | 6 | 49:38 | 51 |
| ნორვიჩი | 29 | 15 | 4 | 10 | 42:39 | 49 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 14 | 6 | 9 | 33:23 | 48 |
| ბირმინგემი | 29 | 13 | 8 | 8 | 46:34 | 47 |
| კრ. პალასი | 28 | 14 | 2 | 12 | 49:40 | 44 |
| პრესტონი | 28 | 11 | 10 | 7 | 44:36 | 43 |
| ქოვენთრი | 28 | 13 | 4 | 11 | 35:29 | 43 |
| უოტფორდი | 28 | 11 | 7 | 10 | 42:33 | 40 |
| ნოტინგემი | 29 | 9 | 12 | 8 | 32:27 | 39 |
| ჯილინგემი | 28 | 11 | 6 | 11 | 41:39 | 39 |
| შეფილდი | 29 | 9 | 11 | 9 | 32:35 | 38 |
| უიმბლდონი | 27 | 9 | 9 | 9 | 42:39 | 36 |
| პორტსმუთი | 28 | 10 | 6 | 12 | 40:44 | 36 |
| ბრედფორდი | 28 | 10 | 5 | 13 | 49:53 | 35 |
| როტერჰემი | 27 | 7 | 10 | 10 | 34:41 | 31 |
| ბარნსლი | 29 | 7 | 10 | 12 | 39:52 | 31 |
| ქრიუ | 27 | 7 | 8 | 12 | 26:42 | 29 |
| უოლსოლი | 29 | 7 | 6 | 16 | 32:48 | 27 |
| უენსდი | 28 | 6 | 9 | 13 | 28:45 | 27 |
| გრიმსბი | 29 | 6 | 9 | 14 | 25:49 | 27 |
| სტოკპორტი | 29 | 2 | 6 | 21 | 25:67 | 12 |

## შოტლანდია

### თასის მეოთხედფინალი
### ბერვიკი (II) 0:0 რეინჯერსი

**რეინჯერსი:** კლოსი, ლ. ამორუზო, მორის როსი, ტ. ვიდმარი, ს. ჰიუზი, მაკკანი, უილსონი, ლატაპი, კანიჯა (კაჩელსკისი 46), ფლო (შ. არველაძე 67), მოლსი (რ. დე ბური 81)

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

„რეინჯერსი" გადათამაშებას, ალბათ, მოიგებს. მით უმეტეს, თამაში მშობლიურ „აიბროქსზე" უწევს. და თუ ვერ მოიგო, სეირი მაშინ ნახეთ.

ისე, „ბერვიკი" ის გუნდია, რომელსაც „რეინჯერსი" დაუმარცხებია. მართალია, ეს 35 წლის წინ მოხდა, მაგრამ რაკი სქოთური ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს სენსაციად ითვლება, ბერვიკელებს დღესაც ახსოვთ. საერთოდ კი ახლა გახერხებულ ფრესაც სენსაციის სუნი უდის.

გლაზგოელები კი იმედგაცრუებულნი არიან. ფლოს ორი ურეალურესი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ ვილი მაკლოხმა სასწაულების ჩადენა ინება.

„ბერვიკის" მენეჯერმა პოლ სმიტმა განაცხადა: „მატჩის წინ ბიჭებს ვუთხარი, მიდით, ახალი ლეგენდა შექმენით-მეთქი."

# ვინ გადაარჩენს იტალიის პირველობას?



სტეფანო ტანცი

**იტალიის** საფეხბურთო ლიგამ ახალი პრეზიდენტი ვერ აირჩია. არადა, საამისოდ, მილანში კენჭისყრა მოეწყო, მაგრამ...

კანდიდატი ორი გახლდათ, „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი და „პარმას“ პრეზიდენტი სტეფანო ტანცი. რომელიმე მათგანს რომ გაემარჯვა, სულ მცირე, 29 ხმა უნდა მიეღო, მაგრამ ამდენი მხარდამჭერი არც ერთს აღმოაჩნდა და არც მეორეს. შესაბამისად, დაინიშნა ახალი არჩევნები, რომლის თარიღადაც 1 თებერვალი დაითქვა.

პირველ ჯერზე სენსისა და ტანცის შორის გამარჯვებულის გამოსავლენად კი მთელი სამი რაუნდი გაიმართა. მესამე, ფინალურ რაუნდში მეტოქეს სენსიმ აჯობა, თუმცა, როგორც მოგახსენებთ 29 ხმა ვერ დააგროვა, მის სასარგებლოდ 22 ბიულეტენი ჩაეგდოთ.

წარუმატებელი კენჭისყრის შემდეგ „რომას“ პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა იტალიურ საინფორმაციო სააგენტო ANSA-ს. მან ბრძანა:

„შედეგით კმაყოფილი გახლავართ. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ მესამე რაუნდის შემდეგ კენჭისყრა გადაიდო. ეს ტანცის პატივისცემაა. ჩვენს შორის გამარჯვებულის უბრალო უმრავლესობით გამოვლენა ნამდვილად არ შეიძლებოდა“.

შემდეგ სენსიმ დასძინა: „საკუთარი თავი იტალიური ფეხბურთის მხსნელად არ მიმაჩნია, მაგრამ ლიგის პრეზიდენტის არჩევნები საშუალებას მომცემს მოლაპარაკებათა მაგიდას მივუჯდე და პარტნიორებს ზოგიერთი იდეა შევთავაზო. ვგონებ ეს იდეები დადებით ძვრებს უნდა ემსახურებოდეს. ვფიქრობ, ფეხბურთი ყველას ეკუთვნის. არჩევნების მეორე ეტაპამდე კი ორი კვირა დარჩა და ვიმედოვნებ, რომ ამ ხნის განმავლობაში ყველა გაიზიარებს — პრობლემები ერთად უნდა გადავჭრათ“.

კომენტარი სთხოვეს „პარმას“ პრეზიდენტის მამასაც.

„დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, დისკუსიათა დღე გვქონდა. ახლა, მწამს რაღაცეები გამოჩნდა და შედეგები უნდა შევაჯამოთ“ — თქვა კალისტო ტანციმ.

აღსანიშნავია, რომ ლიგის პრეზიდენტის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენება უნდოდა „ვენეციას“ პრეზიდენტს მაურიციო ძამპარინისაც, თუმცა იგი კენჭისყრის სისტემით დარჩა უკმაყოფილო და უკან დაიხია.

„მინდოდა კანდიდატობა, მაგრამ ვერ გავიგე რა საჭირო იყო აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპი. როდესაც კაცი 20 ან 22 ხმას აგროვებს, განა საკმარისი არ არის?“ — ჩიოდა ძამპარინი.

კენჭისყრაზე, რომლის ამბებიც მოკლედ უკვე მოგახსენეთ, სერია A-სა და სერია B-ს ყველა გუნდის პრეზიდენტი მონაწილეობდა. იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის არჩევნები კი იმიტომ ტარდება, რომ ამ



ფრანკო სენსი

თანამდებობაზე მომუშავე ფრანკო კარარო დეკემბერში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

**ბაკურა ძიძია**

# ამ ჩვენს ფეხებს გაფრთხილება უნდა!

**„ინტერის“** ფორვარდი კრისტიან ვიერი ამბობს, რომ იტალიის ჩემპიონატში, საშობაოდ, ხანგრძლივი არდადეგება საჭირო. საქმე ის არის, რომ ზამთრის გაყინულ მოედნებზე ფეხბურთელები იოლად შავდებიან.

როგორც ჩანს, ვიერის ეს იდეა მას მერე მოუვიდა, რაც ბოლო ტურში პერუჯას ნისლიან და მოყინულ მინდორზე ითამაშა. მართალია, თავდამსხმელმა გოლი შეაგდო („ინტერმა“ 2:0 მოიგო), მაგრამ...

„ასეთ ყინულზე თამაში არ უნდა ჩატარებულიყო. ტემპერატურაც 10 გრადუსზე ნაკლები იყო. ერთი სიტყვით, ტრავმის შანსი საკმაოდ მაღალი გახლდათ. ამ საკითხზე, ვფიქრობ, სეზონის დასაწყისში უნდა ვილაპარაკოთ“ — თქვა ვიერიმ.

მოგეხსენებათ, ტრავმა ვიერისთვის მტკივნეული თემაა. იგი და მისი თანაგუნდელი, ბრაზილიელი რონალდო, ბოლო ორი წლის განმავლობაში უფრო ხშირად მკურნალობდნენ, ვიდრე თამაშობდნენ.

ვიერიმ დასძინა: „კიდევ, წარმოიდგინეთ, რომ თოვს და ქოშაგებს ასეულობით კილომეტრის გადალახვას ვაიძულებთ. ხომ სისულელეა? არადა, ჩვენში მოედნები მხოლოდ ერთი თვის განმავლობაშია გაყინული“.

ბოლოს ფორვარდმა „ინტერის“ საქმეებსა და ამბიციებზეც ილაპარაკა:

„ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად თამაში გვმართებს, მაგრამ მეტოქეები ყოველ შეხვედრაში რაღაც განსაკუთრებულის გაკეთებას ცდილობენ. „ინტერის“ წინააღმდეგ ყველა მონდომებულია. ამრიგად, რომ გაიმარჯვო, ძლიერი ხასიათი და გამარჯვების ჟინი უნდა გქონდეს“.

**მიხეილ სურგულაძე**





კრისტიან ვიერი: ზამთარში ბუცები გავიხადოთ

# დეპორტივოს პრეზიდენტი აფეთქდა

**პრიმერადივიზიონში** ლა კორუნიის „დეპორტივოს“ ბოლო სამი წელია, ასეთი კრიზისი არ ჰქონია — ბოლო შვიდ საგარეო შეხვედრაში ერთი ქულა. ეს „ოსასუნასთვისაც“ წარუმატებლობა იქნებოდა, ესპანეთის ჩემპიონყოფილი „დეპორი“ კი აშკარად ზამთრის ძილს მისცემია და ბოლო წლებში მისთვის უჩვეულო მეშვიდე ადგილზე ყურყუტებს. საბუქმეიკერო კანტორებშიც გალისიელთა ჩემპიონობის კოეფიციენტები იზრდება და თუ ასე გააგრძელეს, სავსებით მოსალოდნელია, „დეპორტივოს“ სახელი სრულებით გაქრეს ჩემპიონობის მაძიებელთა სიიდან.

ლაკორუნიელებს კი გულს უჩვილებს 1999-2000 წლების სეზონის გახსენება, როცა მათმა სათაყვანებელმა გუნდმა ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგო (აქედან ოთხი სტუმრად) და როგორც გახსოვთ, ის სეზონი პირველ ადგილზე დაასრულა.

საშინაო მატჩებში კი საპირისპირო მაჩვენებელია — „დეპორტივო“ გუნდს გუნდზე ამარცხებს, თუმცა შინ რომ ვერ იგებდეს, „ოსასუნაც“ ჩაუქროლებდა.

ითმინა „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდოირომ და „ვალიადოლიდთან“ მორიგი შერცხვენის შემდეგ იფეთქა: „უბრალოდ, მრცხვენოდა, „ვალიადოლიდთან“ ჩემი გუნდის თამაშს რომ ვუყურებდი. ასე ჩემპიონობა კი არა, ლიგაში ადგილის შენარჩუნებაც სანატრელი გაგვიხდება. კატეგორიულად მოვითხოვ შედეგის გაუმჯობესებას. იმედს ვიტოვებ, რომ ჩემპიონობის შანსი კიდევ გვაქვს, ხუთქულიან ჩამორჩენას სეზონის ბოლომდე აღმოვფხვრით და პირველობას მოვიპოვებთ“.

კი, ბატონო, რუმინელების ბუქარესტში მძლევლ ბორჯღალოსნებს არც პოლანდიელების ამსტერდამში დამარცხება გაუჭირდებათ, მაგრამ მერე რუსეთი უნდა ჩამოვიდეს, მერე რუმინეთი და თუ უფულობის გამო ორივეს შევეხვეწეთ, იქით გესტუმრებითო, შესაძლოა, შარშან მოპოვებული ამხელა უპირატესობა ბუმბულივით ქარმა წაიღოს. ჯერჯერობით ერთია ცნობილი, 3 თებერვლის მატჩი თბილისში „ლოკომოტივის" სტადიონზე 15 საათზე უნდა დაიწყოს...

დაწყებით ალბათ დაიწყება, მაგრამ სად, როდის და რომელ საათზე, ეს ჯერ საკითხავ-საფიქრალია.

**ბაჩო სვანიძე**

| ევროპის ერთა თასი 2002 |
|---|
| 3 თებერვალი. I ტური |
| საქართველო — ჰოლანდია |
| რუსეთი — ესპანეთი |
| რუმინეთი — პორტუგალია |
| 16 თებერვალი. II ტური |
| პორტუგალია — საქართველო |
| 17 თებერვალი |
| რუმინეთი — ესპანეთი |
| რუსეთი — ჰოლანდია |
| 3 მარტი. III ტური |
| საქართველო — რუსეთი |
| პორტუგალია — ესპანეთი |
| ჰოლანდია — რუმინეთი |
| 24 მარტი. IV ტური |
| ესპანეთი — საქართველო |
| რუსეთი — რუმინეთი |
| ჰოლანდია — პორტუგალია |
| 7 აპრილი. V ტური |
| საქართველო — რუმინეთი |
| პორტუგალია — რუსეთი |
| ესპანეთი — ჰოლანდია |

## ფეხბურთი

*ბოლო ხანს რუსთავის „აზოტის" თავზე ერთი ნისქვილის ქვა არ დატრიალებულა. ეტყობა, ამ ქალაქში კალათბურთი ძალიან უყვართ, რომ არა და არ ტყდება მუდამ პირველობისთვის მებრძოლი გუნდი. ყველაზე დიდი გამოცდა „აზოტმა" მაშინ ჩააბარა, როცა შარშანდელ ნახევარფინალში სტუ-სთან დებოშის გამო მწვრთნელ-მოთამაშეები დაკარგა, მარამ, მიუხედავად ამისა, მიმდინარე სეზონის პირველ წრეში აწყობილი თამაშით ბევრი გააოცა. რომ არა ბოლო ტურში, ბოლო წამებზე, ბათუმში განცდილი მარცხი, ქვემოქართლელები ჩემპიონატის ლიდერები გახდებოდნენ.*

# ამ უფულობამ ხომ ლახვარი ჩაგვცა!

## რუსთავი რუსთა იმედზეა



ზურაბ ტომარაძე

**„აზოტი"** ახლაც გამოცდის წინაშე დადგა. გუნდს საუკეთესოთა ტრიოდან — ქლენტი, ბაბიაშვილი, გოგობერიშვილი — მხოლოდ ეს უკანასკნელი შემორჩა და რუსთაველებს ჩემპიონატში პოზიციების დათმობას უწინასწარმეტყველებენ. თუ დროზე არ აეწყო სატრანსფერო პოლიტიკა, ადვილი შესაძლებელია, ასეც მოხდეს. ეს კარგად ესმის გუნდის მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს, რომელიც „აზოტის" პრობლემებზე გვესაუბრა

— დიდი ხანი არ არის, რაც არჩილ ქლენტმა დაგვტოვა, ახლა კი ზვიად ბაბიაშვილიც გამოგვაკლდა. ეს ორი „აზოტისთვის" დიდ ძალას წარმოადგენდა. ვფიქრობ, დანაკლისის კომპენსაცია ძალიან გაჭირდება.

**— რა იყო მათი გუნდიდან წასვლის მიზეზი?**

— გუნდის დატოვება ორივემ ფინანსური მოსაზრებით ახსნა. ეტყობა, „დინამომ" და სტუ-მ უკეთესი პირობები შესთავაზეს, „აზოტს" კი სამი თვის გასამრჯელო არ გადაეხადა და კონტრაქტის თანახმად მათ წასვლა შეეძლოთ.

ყველაფერი ჩინებულად გვქონდა აწყობილი. დეკემბერში თურქულ შეკრებაზე ბევრი რამ დავხვეწეთ. პირველი წრე არცთუ ხეირიანად დავიწყეთ, შემდეგ კი, როცა რამაზ გოგობერიშვილი შემოგვემატა, ყველაფერი გამოსწორდა. მეორე წრეს კიდევ უფრო შეკრულ-შეთამაშებულნი ვხვდებოდით, ფინანსურმა პრობლემებმა კი ლახვარი ჩაგვცა, კალათბურთელებს ცოტაც რომ დაეცადათ, დავალიანებებს დავფარავდით და ძირითად ბირთვსაც შევინარჩუნებდით, მაგრამ...

**— საიდან? აკი ფინანსური პრობლემები გაქვთ...**

— გვქონდა, მაგრამ აღარ გვაქვს. „აზოტის" ქარხანა წელში გაიმართა და ცხადია, ჩვენც მოვმძლავრდით.

**— ახალწვეულთა დამატება გსურთ...**

— დღეს „აზოტში" ცხრა მოთამაშეა. რა თქმა უნდა, გვსურს ახლების დამატება, რამდენიმე ქართველ კალათბურთელთან მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებდით, მაგრამ თითოეულს თავის გუნდთან კონტრაქტი აკავშირებს და ორმხრივი სურვილის მიუხედავად, ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა.

**— მაშ, ვეღარავის შეიმატებთ?**

— მჭიდრო კავშირი მაქვს ერთ რუს აგენტთან. ის ყველაფერს აკეთებს ჩვენთვის სასურველი კალათბურთელის შესარჩევად.

**— კერძოდ, რომელი ამპლუის?**

— ჩვენი გუნდის ყველა სათამაშო რგოლი მოიშალა. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც უკანა ხაზია. სწრაფი შეტევები, რაც ჩვენი მთავარი კოზირი იყო, გუნდს ფაქტობრივად აღარ ძალუძს. ისეთი კალათბურთელი გვჭირდება, რომელიც სწრაფი შეტევების სულისჩამდგმელი იქნება.

ნოვოსიბირსკის გუნდთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და შესაძლებელია, შევსებაც იქიდან მივიღოთ. რუსეთში სატრანსფერო სეზონი მალე იხურება და იმ მოთამაშეებიდან, რომლებიც ძლიერ გუნდებში ვერ მოხვდებიან, ეგებ რომელიმე გადმოვიყვანოთ. ამაში ჩემი ნაცნობი რუსი აგენტი დამეხმარება.

გუნდში სიახლე მაინცაა — ამიერიდან გვეყოლება ჩვენი მენეჯერი, რომელიც სხვა კლუბებთან და ფედერაციასთან ურთიერთობებში დაგვეხმარება. ამ საქმეს გაუძღვება გიორგი ტიტველაშვილი, რომელიც ადრე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო, მეორე მწვრთნელი კი კვლავაც ბადრი კიკვიძე იქნება.

**ირაკლი ბერტაია**

## ჭადრაკი

### ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი. მოსკოვი

### ვასილი ივანჩუკი 0 – 1 რუსლან პონომარიოვი

# ბავშვური ალიყური

**ფიდე-ს** მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ფინალური პარტია ერთობ მა..ორჩა. თეთრებით მოთამაშე პონომარიოვმა პირველ სვლაზე მეფის პაიკი ორი უჯრით გადაანაცვლა, ივანჩუკმა თავი აარიდა ღია დებიუტს და ფრანგული დაცვა გაითამაშა, თუმცა იმის ქმედებას დაცვის მეტი ყველაფერი ერქვა. თეთრებმა უაღრესი სიმსუბუქით ხელში ჩაიგდეს დაფის ყველა საკვანძო პუნქტი და 23-ე სვლაზე, როცა ფიგურათა უდიდესი პროცენტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, შავ ბანაკში თეთრი დროშა გაღმოკიდეს. იხილეთ დასკვნითი პოზიცია: უკვე მომდევნო სვლიდან თეთრები იწყებენ ნგრევას და შავი პოზიციიდან არაფერი არ დარჩება. შეტევაში ჩართულია ყველა თეთრი ფიგურა, შავები კი თვლემენ... და თვლემაშივე წააგეს.

**დავით გულუა**



REUTERS მოსკოვიდან



ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის თანდასწრებით რუსეთის ვიცეპრემიერმა, ვალენტინა მატვიენკომ რუსლან პონომარიოვს (მარცხნივ) და ვასილი ივანჩუკს „მწვანე შუქი" აუნთო

## ხელბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ვაჟები

### დღეს, უფასოდ და თბილად

# ქართველ ხელბურთელებს შანსი დარჩათ

**დღეს** თბილისში საქართველოს ვ.. ხელბურთელთა ნაკრები მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩს გამართავს. ჩვენების მეტოქე ჰოლანდიის გუნდია.

ჰოლანდიელი ხელბურთელები წუხელ შუაღამისას ჩამოფრინდნენ თბილისში, ასე რომ, წავარჯიშება ვერ მოასწრეს და ჩვენს მწვრთნელებსაც მათი თუნდაც ზედაპირულად გაცნობის საშუალება არ მისცემიათ. ერთი სიტყვით, ზაზა დოლიძემ და მისმა რაზმმა მეტოქეზე პრაქტიკულად კვლავ არაფერი იციან. ერთგვარ ორიენტირად ავსტრიელებთან ორი შეხვედრის შედეგი თუ გამოდგება. ჰოლანდიელები სტუმრად ოთხბურთიანი სხვაობით (20:24) დამარცხდნენ, შინ კი პირწმინდად წაგებული პირველი ტაიმის (11:16) შემდეგ თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლეს და ფრეს მიაღწიეს — 26:26. ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბეერსი და ნუსერი, რომლებმაც ავსტრიელებს ორ მატჩში 10-10 გოლი გაუტანეს.

ჩვენმა ბიჭებმა გუშინ საღამოს სპორტის სასახლეში ივარჯიშეს. თორმეტივე ხელბურთელი მოედანზე იყო. მართალია, ომარ ყიფიანს წინა მატჩში ნეკნი გაებზარა, მაგრამ დღეს მაინც ითამაშებს. საერთო განწყობა ოპტიმისტურია. ცხადია, ყველამ გაითვალისწინა ფინელებთან შეხვედრებისას მიღებული მწარე გაკვეთილი, როცა ორჯერვე ბოლო წუთებზე გაუშვეს ხელიდან გამარჯვება და დარჩენილ მატჩებში მხოლოდ მაქსიმალური შედეგისთვის იბრძოლებენ.

ჰელსინკიში მარცხის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს არ დაუკარგავს ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი. საამისოდ აუცილებელია, ოთხივე თამაში მოიგოს, რაც სულაც არ გახლავთ დაუძლეველი ამოცანა. ბევრია დამოკიდებული ავსტრია-ფინეთის შეხვედრების შედეგზეც.

დღევანდელი მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში 17 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა. ჰაერის გამათბობელი ორივე „ჯამბო" გუშინ აამუშავეს და თამაშისას ტემპერატურა ნორმალურ ნიშნულზე იქნება. შეხვედრას მოემსახურებიან რუმინელი მსაჯები კარლიგეანუ და ბეინარიუ. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დელეგატად რუსეთის სახელბურთო კავშირის პრეზიდენტი ალექსანდრ კოჟუხოვი მოავლინა.

**გია ახალაძე**



ზაზა დოლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰ.ნ. ტრაგიკული აბრევიატურა: ჯორდანი ეგრეთ წოდებულია, ჯორდანი ეგრეთ წამებულია



**ისინი** 13 წელი ერთგულად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს, ქმარს ოჯახში ფული შეჰქონდა, ცოლი სამ შვილს უვლიდა. ერთი შეხედვით ყველაფერი ისე იყო, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. ქვეყანას სანიმუშო წყვილად მიაჩნდა. თურმე ყველაფერი სხვაგვარად ყოფილა.

2002 წელი ჯერ ხეირიანად არც დამდგარიყო, რომ მაიკლ ჯორდანს ოჯახი დაენგრა. მსოფლიოს ყველა დროის კალათში ბურთის უძლიერესი ჩამგდების და ხუანიტა ჯორდანის 13-წლიანი ტკბილი თანაცხოვრება მოულოდნელად დასრულდა. ქალბატონმა ხუანიტამ რამდენიმე დღის წინ შესაბამის უწყებაში შეიტანა განცხადება, სადაც ქმართან გაყრას ითხოვს, ხასიათებით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთსო.

ზემოთ კი ვთქვით, მაიკლი და ხუანიტა 13 წელი (რა თარსი რიცხვია) ერთად იყვნენო, მაგრამ როგორც ექს მისის ჯორდანი ამბობს, სულაც არ ყოფილან ერთად. როდესაც ჯორდანმა პირველად დაანება კალათბურთს თავი (1993 წელს), თქვა, მინდა, ოჯახს მოვეფერო და ჩემი დრო ცოლ-შვილს მოვახმაროო, მაგრამ კალათბურთის ბურთის ნაცვლად კეტი დაიჭირა და ბეისბოლში გადაბარგდა. იგივე განმეორდა 1999 წელსაც, როცა საკალათბურთო მოედნებიდან მეორედ გაქცეულმა ჯორდანმა თავი ოჯახის ნაცვლად გოლფის მინდვრებს და სამორინეებს შეაფარა, შემდეგ კი „ვაშინგტონ ვიზარდსი“ იყიდა და მის პრეზიდენტადაც დაჯდა. ესეც არაფერი, მაიკლმა ყველაფერი ისევ მიატოვა და კვლავ კალათბურთელი გახდა.

ახლა ხუანიტა ძვირად დაუსვამს მაიკლს ოჯახის „ღალატს“. ექს მისის ჯორდანი ქმარყოფილისგან ქონების ნახევარს, ჰაილენდ პარკში მდებარე ვილას და სამ ბავშვზე, 13 წლის ჯეფრიზე, 11 წლის მარკუსსა და ცხრა წლის ჯასმინზე მზრუნველობას ითხოვს. ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ხუანიტას მოთხოვნა დოლარებში ერთ-ორ ასეულ მილიონს შეესაბამება.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 15 იანვარი

**ფილადელფია 112:106 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 99:99

ფილადელფია: აივერსონი (58)
ჰიუსტონი: მობლი (26), ტომასი (20), გრიფინი (17 ქულა, 10 მოხსნა), ფრენსისი (13 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**ვაშინგტონი 91:96 სან ანტონიო**

ვაშინგტონი: დევისი (22), ჯორდანი (20), ვიტნი (20), ვაიტი (15 ქულა, 19 მოხსნა)
სან ანტონიო: დანკანი (22), ჩ. სმიტი (21), ს. სმიტი (20)

**მინესოტა 97:83 კლიპერსი**

მინესოტა: შჩურბიაკი (21), გარნეტი (18 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი), სმიტი (17)
კლიპერსი: მაილზი (18 ქულა, 10 მოხსნა), ბრენდი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ატლანტა 107:116 დალასი**

ატლანტა: ტერი (46), მუჰამედი (21 ქულა, 18 მოხსნა), აბდურ-რაჰიმი (19)
დალასი: ნოვიცკი (40 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (29 ქულა, 10 პასი), ბარდეიუ (18)

**ინდიანა 102:106 მილუოკი**

ინდიანა: როუზი (26), მილერი (24)
მილუოკი: ტომასი (25), ალენი (23), კასელი (23)

**დეტროიტი 90:92 ტორონტო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (38), რობინსონი (16)
ტორონტო: კარტერი (24)

**საკრამენტო 109:102 კლივლენდი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (36), ვებერი (34 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი)
კლივლენდი: მილერი (22), მილერი (17 ქულა, 13 პასი)

**ჩიკაგო 86:94 შარლოტი**

ჩიკაგო: არტესტი (22), ფიზერი (16 ქულა, 10 მოხსნა)
შარლოტი: ვესლი (26), დევისი (16 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)

იყო დრო (არც ისე დიდი ხნის წინ), მაიკლ ჯორდანი ვაშინგტონელი თანაგუნდელების მიმართ ზიზღს არ მალავდა და გაიძახოდა, ჩვენი გუნდი აყროლდაო. ახლა, თურმე ნუ იტყვით და, ლიდ მაიკლს საკუთარი თავი სძაგს და ამბობს, მე ვყარვარო.

„მის ჰაერის უდიდებულესობას“ საკუთარი „ძმორის“ სუნი გუშინწინ ეცა ცხვირში, „სან ანტონიოსთან“ მარცხის შემდეგ. რასაც მოხუცი გენიოსი თავის აკანკალებულ მარჯვენას აბრალებს. „მე ავიღე 16-დან ექვსი საჯარიმო. ჩვენ წავაგეთ ზუსტად ამდენით. ეპიზოდებში კარგად გამოვიყურებოდი, მაგრამ მთლიანობაში ჩავისვარე“.

ჯორდანმა 20 ქულა გააკეთა, მაგრამ აიცილა მნიშვნელოვანი საჯარიმოები, თამაშში 21 სროლიდან კი ოდენ ხუთი ჩააგდო. ეტყობა, ბურთის ყოფილმა ჯადოქარმა სინდისის ქენჯნა იგრძნო და თავი გაილანძღა. ორი თვის წინ ხომ თავის ყმაწვილ თანაგუნდელებზე ამასვე ამბობდა, როცა ისინი სროლების ორ მესამედს აცილებდნენ.

საკუთარმა სუნმა იმ საღამოს ჯორდანელების მოწინააღმდეგე ბანაკის ლიდერი ტიმ დანკანიც შეაწუხა. ეს წოწოლა ჯეელი პირველ სამ მეოთხედში უვიცი სკოლის ბიჭივით ირჯებოდა, 12 სროლიდან 11 გააოხრა, მაგრამ, სტუმართა ბედად, დროულად მოეგო გონს და ბოლო თორმეტწუთეულში 16 ქულა უთავაზა ღედაქალაქელებს.

დანკანს წამოეშველა ახალბედა და არცთუ ბევრისთვის ნაცნობი ჩარლზ სმიტი. ეს ბიჭი ცხოვრებაში პირველად თამაშობდა სასტარტო ხუთეულში — დაშავებულიი ყოჩაღი ფრანგი გამთამაშებლის ტონი პარკერის (ესეც ახალბედაა) ადგილი დაუკავებია.

„სან ანტონიოს“ მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს მისთვის თამაშის წინ უთქვამს — „ჩარლი, ორი ახალი ამბავი მაქვს შენთვის, კარგი და ცუდი. კარგია ის, რომ დღეს ხუთეულში ითამაშებ, ხოლო ცუდია, რომ მაიკლ ჯორდანის დაჭერა მოგიწევს“. საცოდავს ლამის გული წასვლია, მაგრამ თამაში რომ დაწყებულია, გახსენებია თავისი კერპის, მაიკლ ჯორდანის შეგონება — „ყოველთვის გჯეროდეს საკუთარი თავის!“ და აწ ეგრეთ წოდებული მაიკლ ჯორდანისთვის, 39-ს მიტანებული ბებერი ოპონენტისთვის შავი დღე დაუყრია.

დიდი ამბები დატრიალდა ვაშინგტონის მახლობელ ფილადელფიაშიც. იქაური „სიქსერზი“ „ჰიუსტონ როკეტსს“ დაუხვდა და წინასამატჩო პროგნოზიც გაამართლა. „ფილადელფიამ“ მოიგო, მისმა ციცქნა ლიდერმა ალენ აივერსონმა კი სეზონის ახალი რეკორდი დაამყარა, 58 ქულა მოიხვეჭა. ეს იყო ლეიკერსელი კობი ბრაიანტის ერთი დღის წინანდელი რეკორდის, 56 ქულის ერთგვარი პასუხი. თუმც აივერსონს არ უღიარებია, რომ კობის ეტოქებოდა. ნბა-ს მექულეთა წინამძღოლმა ესლა თქვა: „მე უკვე მაქვს სეზონის პირველი ბომბარდირის ორი წოდება, უძვირფასესი მოთამაშის ტიტული. ასეთი ხარახურა ჯილდოები არ მაკლია და ერთადერთი, რაც აბალელვებს, ნბა-ს ჩემპიონობაა“.

58 ქულა ოთხით მეტია აივერსონის წინა საკარიერო რეკორდზე. ფილადელფიელ „ჭინკას“ სულ შვიდჯერ გადაულახავს 50-ქულიანი ნიშნულისთვის, თუმც, როგორც თავად ამბობს, სხვათათვის სანატრელი ეს მიღწევები ჩალად არ ულირს.

ბოლოს აივერსონი ერთხელაც შევაქოთ და ვთქვათ, რომ მან 58 ქულა ზედაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა. „ჰიუსტონმა“ ის თამაში დათმო, მაგრამ სახელოვან ბრძოლაში, სადაც ცოტა იღბალით გამარჯვებაც მოხერხდებოდა. მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 24 წამით ადრე აივერსონმა ორი საჯარიმოთი 99:99 გაათანაბრა. დარჩენილ დროში „ჰიუსტონს“ ერთხელ მიეცა ჩაგდების შანსი, რომელიც კუტინო მობლიმ ვერ გამოიყენა და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებით დროში აივერსონმა შვიდი ქულა მოუნაგრა თავისიანებს.

15 იანვარს აივერსონის გარდა არავის მოუგროვებია ხუთი ათეული ქულა, თუმც ის დღე ამ მხრივ მაინც უხვი გამოდგა.

ატლანტელმა პატარა კაცმა ჯეისონ ტერიმ „დალასს“ 46 ქულა დაატეხა თავს და კარიერის სარეკორდო თამასა გვარიანად გაამაღლა. მას ,,არგად წამოეხმარნენ ისლამის ზ. რ. ა მიმდევრები — ნაზრ მუჰამედი და შარიფ აბდურ-რაჰიმი, „ატლანტას“ კი მარცხის მეტი მაინც არა ერგო, რადგან ჯორჯიელთა მეტოქეებმა ჯამში მათზე ცხრა ქულით მეტი დ...რივეს თამაშისთვის განკუთვნილ, 18-წუთიან მონაკვეთში. „დალასი“ ამჯერადაც ასცდა ასქულიან ზღვარს და „ქორები“ 116 ქულით გაბრუა. აქედან 40 ქულა ტეხასელთა გერმანელ ხნაიპერ დირკ ნოვიცკის მონაგარია. მან ექვსი სამქულიანი ჩააგდო. დალასელებმა სულ 18-ჯერ იყოჩაღეს შორი დისტანციიდან და კლუბის რეკორდიც დაამყარეს.

უწინ ყველასგან ნათრევმა და ამ სეზონშიღა წამოჩიტულმა „კლიპერსმა“ მორიგი გასვლა წააგო და უცხო გარემოში მუხლებაცახცახებული „პროვინციელის“ სახელი განიმტკიცა. მის მძლეველ „მინესოტასთვის“ ეს გამარჯვება ზედიზედ მეცხრე გახლდათ.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ! ცნობილ ადამიანთა გამონათქვამები
### რადა ვარ, თუკი სხვებივით ვყარვარ !
*მაიკლ ჯორდანი*

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი
**რეი ალენი**
**• მილუოკი •**




### დასავლეთი
**კევინ გარნეტი**
**• მინესოტა •**




**ორშაბათს** ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ტრადიციულად დაასახელა განვლილი კვირის ორი რჩეული, თითო-თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებიდან. მდინარე მისისიპის გამოღმა ნახევარში პირველობა „მილუოკი ბაქსის“ 196-სანტიმეტრიან მსროლელ რეი ალენს ერგო, დასავლეთში საუკეთესო გახლდათ „მინესოტა ტიმბერვულვზის“ 211-სანტიმეტრიანი ლიდერი, კევინ გარნეტი.

რეი ალენმა „ხარირმებად“ წოდებულ თავის გუნდს წინა კვირას ხამივე მატჩი მოაგებინა, რისთვისაც საშუალოდ 25,7 ქულა, 5,0 მოხსნა და 3,3 პასი გაიღო. შაბათს მან კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, რვა სამქულიანი ჩაუგდო „ნიუ იორკს“ და ის თამაში სეზონში სარეკორდო 37 ქულით გაასრულა.

ჯაბანი არც კევინ გარნეტი ყოფილა, უფრო მეტიც, მისი მონაცემები ალენისას აღემატება. „მინესოტამ“ ორშაბათიდან კვირამდე შემხვედრი ოთხივე მეტოქე დაიმორჩილა, გარნეტის მონაგარმა კი მატჩში საშუალოდ 28,8 ქულა, 9,3 მოხსნა და 6,5 პასი შეადგინა.

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 25 | 11 | 69,4 |
| ბოსტონი | 22 | 14 | 61,1 |
| ვაშინგტონი | 18 | 17 | 51,4 |
| ორლანდო | 20 | 20 | 50,0 |
| ფილადელფია | 17 | 20 | 45,9 |
| ნიუ იორკი | 14 | 22 | 38,9 |
| მაიამი | 9 | 26 | 25,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 22 | 13 | 62,9 |
| ტორონტო | 21 | 17 | 55,3 |
| ინდიანა | 21 | 18 | 53,8 |
| შარლოტი | 18 | 19 | 48,6 |
| დეტროიტი | 17 | 19 | 47,2 |
| ატლანტა | 13 | 24 | 35,1 |
| კლივლენდი | 13 | 25 | 34,2 |
| ჩიკაგო | 7 | 30 | 18,9 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| მინესოტა | 28 | 9 | 75,7 |
| სან ანტონიო | 26 | 10 | 72,2 |
| დალასი | 26 | 12 | 68,4 |
| იუტა | 20 | 17 | 54,1 |
| ჰიუსტონი | 12 | 25 | 32,4 |
| მემფისი | 12 | 25 | 32,4 |
| დენვერი | 11 | 25 | 30,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 27 | 8 | 77,1 |
| საკრამენტო | 28 | 9 | 75,7 |
| სიეტლი | 19 | 17 | 52,8 |
| კლიპერსი | 19 | 19 | 50,0 |
| ფინიქსი | 19 | 20 | 48,7 |
| პორტლენდი | 18 | 19 | 48,6 |
| გოლდენ სტეიტი | 12 | 24 | 33,3 |




AP ფოტო

ფილადელფია — ჰიუსტონი. კობი ბრაიანტის 56 ქულას მეორე დღეს ალენ აივერსონმა (ბურთით) 58-ით უპასუხა

ავსტრალიის ღია პირველობა (მელბურნი)

საპრიზო 8,6 მილიონი $



# მელბურნში დიდი კაცების სინსილა გაწყდა

## ვის დარჩა ქვეყანა? ტიმებს, კიმებს და დედაკაცებს

**მეორე წრე**

**ვაჟები**

ფერნანდო გონსალესი (ჩილე) — ტომი რობრედო (32, ესპანეთი) 6:2, 6:4, 6:4; ალეჩს კიმი (აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) 6:3, 7:5, 6:3; კრისტიან პლესი (დანია) — ჰიშამ არაზი (22, მაროკო) 6:3, 6:4, 6:1; გრეგ რუზედსკი (28, დიდი ბრიტანეთი) — მარკ ფილიპუსისისი (ავსტრალია) 7:6 (9:7), 6:3, 6:4; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 4:6, 2:6, 6:4, 6:1, 6:2; ადრიან ვოინეა (რუმინეთი) — ჟიულიენ ბუტე (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 6:7 (5:7), 2:6, 6:3; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ალბერტ პორტასი (18, ესპანეთი) 6:1, 6:3, 6:0; გილერმო კანასი (12, არგენტინა) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2, 7:5, 6:7 (9:11), 6:4; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (5, საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:0, 5:7, 6:4; ირჟი ნოვაკი (26, ჩეხეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 2:6, 5:7, 6:2, 6:3, 6:3; ტიმ ჰენმანი (6, დიდი ბრიტანეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:3, 6:4, 6:1; იუნეს ელ აინაუი (21, მაროკო) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:3, 6:3; ტომას იოჰანსონი (16, შვედეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:4, 6:1, 6:4; ტეილორ დენტი (აშშ) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:3, 6:4, 6:2

**ქალები**

ვინუს უილიამსი (2, აშშ) — კრისტინა ბრენდი (აშშ) 6:3, 6:4; ბარბარა შეტი (17, ავსტრია) — ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) 6:2, 1:6, 6:2; ფრანჩესკა სკიავონე (31, იტალია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:1, 6:2; დანიელა ჰანტუხოვა (32, სლოვაკეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:2, 6:2; მარტინა ჰინგისი (3, შვეიცარია) — გრეტა არნი (გერმანია) 6:1, 6:2; სილვია ფარინა ელია (11, იტალია) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:2, 6:0; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — ანე კრემერი (28, ლუქსემბურგი) 6:1, 6:4; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:3, 6:7 (4:7), 6:1; ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) — დაია ბედანოვა (21, ჩეხეთი) 6:4, 6:2; მონიკა სელეში (8, აშშ) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:1, 6:1; აზა სვიდსონი (შვედეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:4, 6:1; ამანდა კუტცერი (15, სამხრეთ აფრიკა) — როსანა ნეფა-ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:3, 6:1; ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 7:6 (7:5); ლაიზა რეიმონდი (18, აშშ) — ჟილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:3; მარტინა სუჩა (სლოვაკეთი) — მარიანა დიას ოლივა (არგენტინა) 6:1, 7:5; მაგდალენა მალეევა (13, ბულგარეთი) — კვეტა პრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:4, 7:5

ავსტრალია შოკშია. ლეიტონ ჰიუიტი დამარცხდა! ავსტრალიის ღია პირველობას აღარ შერჩა მსოფლიოს პირველი ნომერი და ახლა ირკვევა, რომ ჰიუიტს იქნებ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონდეს, რადგან აღარც დევისის თასის პირველ რაუნდში აპირებს თამაშს. უფრო ზუსტად, ჰიუიტმა მას მედიას შემდეგი სიტყვები აღირსა: „ჩოგანს ხელახლა მხოლოდ მაშინ ავიღებ, როცა ამას ექიმები მირჩევენ". რაუნდი კი 8-10 თებერვალსაა დანიშნული და ოზები საგონებელში არიან — არ თამაშობს პატრიკ რაფტერი, ახლა იმას ჰიუიტიც ემატება და ვინ ათამაშონ? თითქოს მარკ ფილიპუსისის ნაკრებში დაბრუნების დროა, რომელიც სამი წლის წინ იყო ავსტრალიის გმირი, როცა დევისის თასის მოგებაში მთავარი წილი დაიდო, მაგრამ ახლა სხვა დროა — ფილიპუსისი მხოლოდ ბრუნდება მუხლის ტრავმის შემდგომ და სასურველი ფორმიდან შორს არის. საბუთი: ავსტრალიის ღია პირველობას გუშინ იგიც გამოეთიშა.

ფილიპუსისი გრეგ რუზედსკის ეთამაშებოდა და ჩოგბურთში ჩახედული მკითხველის გონებაში უკვე მოიხაზა მათი მატჩის ზოგადი სურათი. ეს ორნი დღეს დედამიწის ზურგზე უსწრაფეს მოწოდებას ფლობენ და ცხადია, ამ მატჩის მდინარებაც ძირითადად მოწოდებებზე აიგო. კრიტიკული მხოლოდ პირველი სეტი გახლდათ, რომელშიც ფილიპუსისი 4:1 დაწინაურდა და ეს იყო ბოლო, რისი გაკეთებაც მოახერხა. შემდეგ ინიციატივა მთლიანად რუზედსკის იყო და ინებეთ შედეგი — 7:6, 6:3, 6:4. ბრიტანელი მესამე წრეში გავიდა, სადაც ელის თვისტომი, რომელიც სადღეისო ჩოგბურთის რანგთა ტაბელით მასზე ბევრად წინაა და ფავორიტად ითვლება.

ვგულისხმობთ ტიმ ჰენმანს. ეს ნიჭიერი ალბიონელი ბევრჯერ მიახლოვებია „დიდი სლემის" ამა თუ იმ ტიტულს (მარტო უიმბლდონის სამგზის ნახევარფინალისტაა) და ახლა გამარჯვების არნახული შანსი აქვს. კერძოდ, მას გზას აღარ ულობავენ კუერტენი, ჰიუიტი, აგასი, ხოლო გუშინდლის მერე — სებასტიენ გროჟანი და ევგენი კაფელნიკოვიც. ელიტარული ათეულის ეს ორი წევრი გუშინ ბევრად უსახელოთა ჩოგნებით აღესრულა. გროჟანი შარშანდელ ამავე ტურნირზე ნახევარფინალში გავიდა, ახლა კი ესპანელი ფრანცისკო კლავეტი მოერია უკვე მე-2 წრეში.

გროჟანს თავიდანვე გაუჭირდა და მე-3 სეტში სულ ჩაიძირა, როცა მეტოქეს 6 გეიმი ზედიზედ და უანგაროდ აჩუქა. ფრანგმა ბოლო პარტიაში ერთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ კლავეტის სმეშმა სამნახევარსაათიან დრამას წერტილი დაუსვა. ეს მოხდა „მელბურნ პარკის" ნომერ პირველ კორტზე, ხოლო სხვა ადგილას გროჟანზე საცოდავ დღეში გახლდათ კაფელნიკოვი, თითქმის ორმეტრიანი ათლეტი, რომელსაც ბევრად ტანმორჩილი და განუთესავი ალექს კიმი საკმაოდ უზრუნველად ულებდა ბოლოს. იხილეთ ქვემორე სტატისტიკა




ეს თავისუფლების ქანდაკება კი არა, მარტინა ჰინგისია, რომელიც გამარჯვებას აღნიშნავს

| | კიმი | კაფელნიკოვი |
|---|---|---|
| განთესვა | — | 4 |
| სიმაღლე | 1,70 | 1,91 |
| წონა | 63 | 83 |
| ტიტულები | 0 | 24 |

ახლა კი მატჩის სტატისტიკას მივმართოთ:

| | | |
|---|---|---|
| უნებლიე შეცდომა | 17 | 54 |
| ეისი | 4 | 10 |
| ორმაგი შეცდომა | 1 | 10 |
| პირველი მოწოდების პროცენტი | 75 | 58 |
| ქულები | 102 | 79 |

აქ კომენტარი ზედმეტია და ანგარიშსაც, თუ არ დაიზარებთ, წერილის ტექნიკურ ნაწილში იხილავთ.

მოკლედ, იმას მოგახსენებდით, რომ ჰენმანის შანსები, მოიგოს ავსტრალიის ღია პირველობა, ისე დიდია, როგორც არასდროს და ბრიტანელიც ჯერჯერობით მძლავრად მიიწევს წინ. მეორე წრეში, როცა „მელბურნ პარკზე" მზე უმოწყალოდ იკბინებოდა, ჰენმანმა მალე მოიპოვა ჩრდილს შეფარების უფლება, როცა ბელარუს ვლადიმირ ვოლჩკოვს (2000 წლის უიმბლდონის აღმოჩენა) სამ სეტში 6:3, 6:4, 6:1 მოუგო.

უაღრესად კარგად გამოიყურებიან მარტინა ჰინგისი და მონიკა სელეშიც. ქალთა ჩოგბურთის ამ რჩეულებმა მე-3 რაუნდში უპრობლემოდ გააღწიეს. სელეში მთელი ძალით დაატყდა ზიმბაბველ კარა ბლექს და გასრისა. ერთადერთი იაღლიში მას მხოლოდ მატჩის ბოლოს მოუვიდა, როცა 5:0-ს იგებდა და თავის მოწოდება წააგო, თუმცა უმალ მოიგო მეტოქისა და მატჩიც მის სასარგებლოდ დამთავრდა. სელეში მაძღარია ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონობით, ერთ ხუთწლედში (1991-96) იქ მან 4-ჯერ გაიმარჯვა და ტურნირს „თავის საყვარელს" უწოდებს, ხოლო ახალგაზრდა ჰინგისი ავსტრალიის ღია ჩემპიონი 99-ში გახდა და იმის მერე „დიდ სლემზე" არც არაფერი მოუგია. ჰინგისმა გაიარა ტრავმისგან რეაბილიტაციის კურსი და სრული ძალით თამაშობს. გუშინ მის წინააღმდეგ გერმანელი გრეტა არნი წამდაუწუმ მიკუნტრუშებდა ბადისკენ, მაგრამ ამ ტაქტიკით ვერაფერი მოიგო. ჰინგისის დარტყმები უკანა ხაზიდან ჩვეულებისამებრ მილიმეტრული სიზუსტის იყო და შვეიცარიელი მომდევნო წრეშია.

**დავით გულუა**




სებასტიან გროჟანს მასაჟმაც ვერ უშველა

## ამბავ-ხაბარი

### საფინი ფანთა ფავორიტია

**ვაჟთა** ჩოგბურთის ასოციაციის ვებ გვერდზე კარგახანს გაიჭიმა ინტერნეტში მომუშავე ჩოგბურთის ფანების გამოკითხვის პროცედურა. კითხვა მარტივი იყო: ვინ არის თქვენი საყვარელი მოთამაშე? იმ 228 746 პიროვნებიდან, ვინც გამოკითხვის განყოფილებაში თავისი მაუსი აწკაპუნა, 50 324-მა (ეს კი 22 პროცენტია) მიიჩნია, რომ მარატ საფინს ვერავინ შეედრება. არის საფუძველი აღვნიშნოთ, რომ ამგვარი მაღალი პროცენტის ფორმირებაში ქალებმა ლომის წილი დაიდეს საფინის ფოტო და ტელეგენურობის გამო, თორემ თამაშით მას ბარე ორი სჯობნის: რეიტინგ-ლისტში მე-11-ეა. ქალთა კვალი იგრძნობა გუსტავო კუერტენის 38 886 ხმაშიც, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, სხვა ადგილები კი ასე განაწილდა: ანდრე აგასი, ხუან კარლოს ფერერო, პიტ სამპრასი, გორან ივანიშევიჩი, სებასტიენ გროჟანი, ენდი როდიკი, ტიმ ჰენმანი, ლეიტონ ჰიუიტი, როჯერ ფედერერი, ტომი ჰაასი.

### ტეილორ დენტი: ორი ქვეყნის კბილის ტკივილი

**მსოფლიოს** 129-ე ჩოგბურთელი ტეილორ დენტი ორი ქვეყნის საჩოგბურთო პოლიტიკურ ურთიერთობათა ინდიკატორი ხდება. დენტის პროფესიულ კარიერაში წაგებები მოგებებზე მეტია, მაგრამ ამერიკა და ავსტრალია მის გამო ლამისაა ერთმანეთს წაეკიდონ. დენტი ახალგაზრდაა, პერსპექტიული და აგერ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ორი წრე მძლავრად გაიარა, კერძოდ, ბოლოს შვედ ანდრეას ვინრგერას სამ პარტიაში გადაუარა — 6:3, 6:4, 6:2.

ეს მატჩი ცენტრალურ კორტზე შედგა, რაც მეტისმეტი პატივია არცთუ საჩინო დუეტისთვის, მაგრამ ინიციატივა მასპინძლებისგან წამოვიდა. დენტის მამა ავსტრალიელი გახლავთ, თვით ჩოგბურთელი კი ამერიკაში ცხოვრობს და დევისის თასზე იანკთა კაპიტანი პატრიკ მაკინროი (დიდი ჯონის ძმა) არ მალავს, რომ მას ნაკრებში აყვანას უპირებს დევისის თასის წლევანდელი ბატალიებისთვის.

„ჩემთვის ის ამერიკელია, ამერიკაში გაიზარდა და ჩვენი ჩოგბურთის ფედერაციისგან დიდი დახმარება მიიღო" — ამბობს მაკინროი, მაგრამ არის მეორის ავსტრალიური მხარეც, ანუ წარმოშობა და შეჭირვებული ოზები (დევისის თასზე რაფტერი და იქნებ ჰიუიტიც არ ეყოლებათ) მაგრად დაფაცურდნენ — ავსტრალიის ღია პირველობისთვის ჩოგბურთელს „უაილდ ქარდი" უბოძეს, ცენტრალური კორტის ამბავი ხომ მოგახსენეთ და ახლა უფროსი დენტიც შემდეგს ბრძანებს, ვისურვებდი, ჩემი ძე ავსტრალიის დროშის ქვეშ მეხილაო. მაგრამ თვით შვილი ჯერ ასე ლაპარაკობს: „ჩემი სიმპათიები ამერიკას ეკუთვნის, საბოლოო გადაწყვეტილება კი ჯერ კიდევ წინა მაქვს".

**დავით გულუა**




ტეილორ დენტზე დიდი მოთხოვნაა

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორჯიაში პატარა ბიჭები არ იკარგებიან

**15 იანვარი**

**კაროლინა 2:0 მინესოტა 1:0 1:0 0:0**
1:0 უორდი (13), 2:0 ბატალია (33)

**ოტავა 1:4 ფილადელფია 0:2 1:1 0:1**
0:1 რენიკი (9), 0:2 უილიამსი (15), 1:2 ბონკი (28), 1:3 განიე (36), 1:4 იუნსონი (55)

2002 წელს ფილადელფიას ჯერ ქულაც არ დაუკარგავს. ზედიზედ მეექვსე მოგებაც დამაჯერებელი და ლამაზი გამოდგა.

**ნიუ ჯერსი 4:5 ტამპა 1:2 2:2 1:0 0:1**
1:0 ბერგლუნდი (2), 1:1 ციგერი (6), 1:2 სენტლუისი (18), 2:2 მეჯენი (21), 2:3 ციგერი (21), 2:4 ლეკავალიე (22), 3:4 სიკორა (25), 4:4 ელიაში (48), 4:5 ციგერი (62).

ნიუჯერსელები ყოფილმა თანაკლუბელმა ზდენო ციგერმა გაართა (ჰეთ თრიქი და 1 პასი), რომელიც ბოლო 5 სეზონი ევროპაში თამაშობდა.

**ტორონტო 2:3 ატლანტა 0:2 2:0 0:1**
0:1 კოვალჩუკი (5), 0:2 ბარტეჩკო (15), 1:2 პონიკაროვსკი (26), 2:2 რაიხელი (28), 2:3 ჰიტლი (54)

როცა ატლანტას სამ გოლი გააქვს, ერთი მაინც კოვალჩუკ-ჰიტლის დუეტის ანგარიშზეა. ასე რომ, ჯორჯიელმა ყმაწვილებმა გეგმას გადააჭარბეს.

**სენტ ლუისი 3:2 ედმონტონი 1:0 1:1 1:1**
1:0 ხავანოვი (4), 1:1 რ. სმიტი (22), 2:1 პრონგერი (34), 3:1 ტკაჩუკი (42), 3:2 ნიინიმაა (58)

მცველმა კრის პრონგერმა (2 გოლი და 10 პასი 8 თამაშში) კვლავაც მთავარი როლი ითამაშა სენტ ლუისის ზედიზედ მე-8 მოგებაში.

**კალგარი 1:3 აილენდერსი 0:1 1:1 0:1**
0:1 ოკუანი (4), 1:1 კრავჩუკი (9), 1:2 ოკუანი (39), 1:3 პეკა (60)

**კოლორადო 0:1 სან ხოსე 0:0 0:0 0:0 0:1**
0:1 სელიანე (65)

ევგენი ნაბოკოვის და პატრიკ რუას სამკარეო დუელში გამარჯვებული რუსი გამოვიდა, რომლის პარტნიორმა ტეემუ სელიანემ ოვერტაიმის დასრულებამდე 3 წამით (!) ადრე შეაგდო.

**ფინიქსი 2:2 დეტროიტი 2:1 0:0 0:1 0:0**
1:0 ბრირი (7), 2:0 ბრირი (8), 2:1 ჰალი (12), 2:2 ჰალი (58)

**ვანკუვერი 5:2 პიტსბურგი 3:0 0:1 2:1**
1:0 ოლუნდი (3), 2:0 კუკი (4), 3:0 ჩუბაროვი (16), 3:1 კრავეტი (26), 3:2 ლემიე (51), 4:2 ლინდენი (54), 5:2 დ. სედინი (56)

გამოჯანმრთელებულმა მარიო ლემიემ მეორე მატჩში ულამაზესი გოლი გაიტანა, მაგრამ გაჭირვებულ პიტსბურგისთვის ეს რა ნუგეშია.

**ლოს ანჯელესი 2:0 ნეშვილი 0:0 0:0 2:0**
1:0 შაინცი (45), 2:0 ჯონსონი (60)

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS ფოტო

პიტსბურგელი მარიო ლემიე (მარცხნივ) და ვანკუვერელი მატიას ოლუნდი ხელ-და-ხელ შებმულან

## თვის მოთამაშე

### სტივ სალივანი (ჩიკაგო)



შარშან ჩიკაგოელ სტივ სალივანს ხელფასი გვარიანად მოუმატეს. ამას ჰოკეისტი პირადი რეკორდების დამყარებას უნდა უმადლოდეს. თუმცა, როგორც ხშირად ხდება-ხოლმე, გასამრჯელოს გაზრდამ ერთობ დაამშვიდა ფორვარდი და ოქტომბერ-ნოემბერში ის უფრო ისვენებდა, ვიდრე თამაშობდა, მაგრამ მწვრთნელთა კრიტიკამ ნაყოფი გამოიღო და 2001 წლის დეკემბერში სალივანი ისევ თავის თავს დაემსგავსა. მან 16 მატჩში 18(7+11) ქულა მოაგროვა და რაც მთავარია, 4 გამარჯვების გოლი გაიტანა, წინასაახალწლო დღეებში კი ზედიზედ 4 შეხვედრაში გამოირჩა. ჰოდა, დეკემბრის საუკეთესო მოთამაშის ტიტულმაც არ დააყოვნა.

**თვის საუკეთესო ექვსეული.**

*რომან ჩეხმანეკი (ფილადელფია, 1); ტომაშ კაბერლე (ტორონტო, 1) — იაროსლავ მოდრი (ლოს ანჯელესი, 1); სიმონ განიე (ფილადელფია, 1) — სტივ სალივანი (ჩიკაგო, 1) — როდ ბრინდამორი (კაროლინა, 1).*



## თვის ახალბედა

### დანი ჰიტლი და ილია კოვალჩუკი (ატლანტა)



ვამბობთ ატლანტას, ვგულისხმობთ ჰიტლის და კოვალჩუკს. მართლაც, ეს ჯერაც ბიჭები ატლანტის სიმბოლოებად იქცნენ. ისინი „თრეშერში" სულ სამი თვეა თამაშობენ და ოქტომბერ-ნოემბერში ლაურეატობამდე სულ ცოტა დააკლდათ. სამაგიეროდ, დეკემბერში ისე იყოჩაღეს, რომ ნჰლ-მა ორივე დააფასა. თავად განსაჯეთ: ახალბედებმა 15 მატჩში 15-15 ქულა დააგროვეს, ოღონდ ჰიტლიმ ერთით მეტი, 7 გოლი გაიტანა. ამით მათ დებიუტანტ ბომბარდირთა სიაში ლიდერობა გაინაწილეს და სეზონის საუკეთესო ახალბედისთვის განკუთვნილი „კოლდერ ტროფის" მთავარი მაძიებლებიც გახდნენ. წარმოუდგენელია, მაგრამ დღესდღეობით ამ წყვილის აქტივში გუნდის მიერ გატანილი გოლების ერთი მესამედია, ხოლო რუსი 21 შაიბით გოლეადორთა პირველ ათეულში შედის.

# ესე იგი, რა გამოდის: ჰოკეისტებს ტეო ფლერის ცოლი ურტყამს?

**ახლოვდება** ოლიმპიადა და ნჰლის ჩემპიონატსაც უფრო და უფრო ამ თვალსაზრისით განიხილავს ჩრდილოამერიკული მასმედია. ჩვენც შევეცდებით, ასე მივუდგეთ საქმეს, მით უმეტეს, რომ ბოლოხანს ბევრი რამ მოხდა მნიშვნელოვანი, სამწუხაროდ, არაერთი უსიამოვნო.

არ გაუმართლათ რუსებს. მათმა ლიდერმა და მთავარმა იმედმა, ფლორიდელმა პაველ ბურემ დალასთან თამაშში ხელი მოიტეხა. წინასწარი დიაგნოზით ბურეს 2-3 კვირის გამოტოვება მოუწევს, რაც მის ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსს დიდად ამცირებს.

კიდევ უფრო სამწუხარო პეტერ ფორსბერგის ამბავია. კოლორადოსა და შვედეთის ნაკრების ლიდერს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდებოდა და ოლიმპიადაზე იასპარეზებდა. მან საახალწლოდ სამშობლოც დატოვა და დენვერში გადაბარგდა. მაგრამ მისმა ზაფხულის შემდეგ პირველმა ინტერვიუმ ყველას გული დასწყვიტა. აშშ-ში გაკეთებულმა განმეორებითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფორვარდს მუხლზე კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდება და თავის საქმეს მაისამდე ვერ დაუბრუნდება.

არც კანადელების მდგომარეობაა სანუგეშო. მათმა ოლიმპიელებმა, ლემიემ, ლინდროსმა, მაკინისმა მხოლოდ ახლახან მოირჩინეს ტრავმები და საუკეთესო ფორმაში ვერ არიან, ზოგი კი, მაგალითად, ფუტი, ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. მაგრამ ყველაზე საგანგაშო რეინჯერსელი ტეო ფლერის მდგომარეობაა. ცოლთან კონფლიქტების გამო „ჯუჯა" შინიდან აფორიაქებული გადის და ყინულზე ემოციებს ველარ თოკავს. ამიტომაც ბოლო ხანს უსაფუძვლო ჯარიმებს უხშირა, გოლები კი ველარ გააქვს.

ახლა რამდენიმე მნიშვნელოვან მიღწევაზეც: თავისი 500-ე გოლი გაიტანა სახელოვანმა რონ ფრენსისმა. 21 სეზონის განმავლობაში ლიგაში მოასპარეზე ვეტერანი ნჰლ-ის ისტორიაში მეხუთე რჩეულია, 500 გოლი და 1000 პასი რომ მიითვალა. ფრენსისი უეინ გრეცკის, გორდი ჰოუს, მარკ მესიესა და მარსელ დიონის ბრწყინვალე სიას შეუერთდა.

თავისი 610-ე გოლი ლუკ რობიტაილმაც გაიტანა. წლეულს იგი დეტროიტში გადავიდა და სახელოვან პარტნიორთა ფონზე სულაც არ დაიჩრდილა. ეს მისი მე-20 გოლია სეზონში, ხოლო მთლიანი მონაგარით ლუკი ნჰლის ისტორიაში საუკეთესო მარცხენა გარემარბ ბობი ჰალს გაუტოლდა. ყურადღების ცენტრში მისი პარტნიორი ბრენდან შენაჰანიც მოექცა, რომელსაც დალასის კარში გატანილმა გოლმა კარიერაში მე-1000 ქულა შესძინა. გამოვყოფთ აგრეთვე პიტსბურგელი ალექსეი კოვალიოვის სეზონში მესამე ჰეთ თრიქს. სამჯერვე მისი მსხვერპლი ნიუიორკული კლუბები აღმოჩნდნენ. ამჯერად მისი ყოფილი გუნდი რეინჯერსი დაზარალდა. ფილადელფიელმა ირჟი დოპიტამ კი ატლანტასთან (7:4) შეხვედრაში კიდევ უფრო მეტი, ოთხი შაიბა შეაგდო. საინტერესოა, რომ 33 წლის ჩეხი წლეულს ნჰლ-ში დებიუტს მართავს.



# ახალი წელთაღრიცხვა ფიგურალურად

**ახალ წელთან** ერთად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო საქართველოს ფიგურული ციგურაობის ისტორიაში. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ წლევანდელ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, ამგვარ შეჯიბრებათა ისტორიაში პირველად იასპარეზებს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, თბილისელი ვახტანგ მურვანიძე.

საქმე ისაა, რომ ციგურებზე შემდგარმა თეთრწვერა, თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა, თეთრნაბადიანმა თოვლის ბაბუამ საახალწლო ნაძვისხის ირგვლივ ციგურებით მოსრიალე ნორჩ თბილისელებს ახალ წელთან ერთად განახლებული, გაფართოებული და რეკონსტრუირებული საციგურაო ბაზის მიღება მიულოცა.

არადა, ამ ყინულის არსებობა თბილისელებს აღარც ახსოვდათ, მაგრამ ახსოვდა რამდენიმე ენთუზიასტს, მათ შორის ირაკლი ჯაფარიძეს, ვინც საქართველოში ფიგურული ციგურაობის ერთ-ერთი პიონერი, ჩვენშიც და უცხოეთშიც სახელმოხვეჭილი მწვრთნელი, ახლა კი საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის გენერალური მდივანია. სწორედ მისი და მის თანამდგომელთა მონდომებით გახდა შესაძლებელი სპორტის სასახლესთან მდებარე ამ ბაზის განახლება-გაფართოება.

და რაკი ჩვენს ფიგურულ ციგურაობაში ისტორიის ახალი, მნიშვნელოვანი ფურცელი გადაიშალა, უპრიანი იქნება წარსულის გახსენებაც.

1960 წელს თბილისში ჩამოსულმა მოსკოველმა სპეციალისტმა ედუარდ პლინერმა რამდენიმე ქართველი ციგურებზე შეაყენა, ორი წლის მერე კი ირაკლი ჯაფარიძემ და ირინა არხანგელსკაიამ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ვერცხლის მედლები მოუტანეს, რითაც ყველა გააკვირვეს.

1964 წელს სპორტის სასახლის მეზობლად თბილისის ფიგურული ციგურაობის სკოლაც გაიხსნა. მისი ყინული ისეთი პატარა (25x25) იყო, რომელზეც იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო, მიუხედავათ ამისა, მარინე ცერცვაძემ საბჭოთა ქალთაგან პირველმა შეასრულა სამმაგი ბრუნი, 1975-76 წლების საკავშირო თასის გათამაშებაში ყველას აჯობა, თანაც მისი პირველი გამარჯვებისას მეორე იყო ლია გაბელაია, მესამე — მარინა სანაია. 1975 წელს ლია გაბელაიამ გაიმარჯვა იუგოსლავიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში — „ოქროს პირუეტი", მომდევნო წელს გია შამუგიაშვილი მეორე იყო ჩეხოსლოვაკიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე („მეგობრობის თასი"). 1975 წელს მიხეილ სიხარულიძემ გაიმარჯვა ჭაბუკთა საკავშირო თასის გათამაშებაში, ონისე რუხაძე კი საუკეთესო იყო ყაზანში გამართულ 1978 წლის საკავშირო პირველობაზე. ამასთან, მაშინ მან შეასრულა საკმაოდ რთული ვარჯიში — სამმაგი „ფლიპი", რაც იმდროინდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ ორმა სპორტსმენმა სცადა, მიზანს კი ერთმა მიაღწია და მისი შესრულება დღესაც მხოლოდ მაღალი დონის სპორტსმენებს ძალუძთ. 1982 წელს ნელი დვალიშვილი მეოთხე იყო იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე.

— დამოუკიდებელი საქართველოს უმძიმეს წლებში, პრაქტიკულად უყინულოდ დარჩენილ ჩვენს ფიგურულად მოციგურავეებს საქმეზე ხელი არ აუღიათ, იაპონიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე თბილისელი ბესო ცინცაძე მეცხრამეტე იყო, ვახტანგ მურვანიძემ კი 1997 წელს ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ დღეებში ვერცხლის მედალი მოიპოვა, შარშან კი სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა.

ირაკლი ჯაფარიძის მცდელობით შარშან გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური და იტალიის ოლიმპიური კომიტეტების ალმასკომების წევრი ოტავიო ჩიკვანტა.

სწორედ მისი სტუმრობისას გადაწყდა თბილისის მერიის საციგურაო სკოლის გაფართოება-რეკონსტრუქცია და ქალაქის მერმა ამ საქმეში მხარდაჭერის სურვილიც გამოთქვა.

შედეგი, როგორც იტყვიან, სახეზეა. სკოლას ახლა ქორეოგრაფიაში სავარჯიშოდ აქვს მშვენიერი დარბაზი, კეთილმოწყობილი გასახდელი, საშხაპეები, სხვა სათავსოები, გათბობისა თუ გაყინვის საკუთარი სისტემა. მართალია, ყინულის გაფართოების მერე იგი სტანდარტული ზომისა მაინც ვერ გახდა, მაგრამ ძველს კი გადააჭარბა.

**ავთანდილ ტყვიშვილი**



მიშა მეჯაკაპიშვილის ფოტო

თბილისის ყინულის დარბაზი გაფართოვდა და გალამაზდა

# ობოლთათვის

შემოდგომიდან მოყოლებული ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრები დიდ ჯაფაშია, შინ თუ გარეთ ინდოთა ნაკრებს ებრძვის. ამათ ურთიერთშორის მოგება-წაგებათა თვლა ახლა შორს წაგვიყვანდა, ის კი აუცილებლად უნდა გამოვაცხადოთ, რომ უპოვარ და თბილ კალკუტელ ბავშვებს ერთ-ერთ პატრონად ინგლისელი მოკრიკეტეებიც გასჩენიან. პროფესიონალ მოკრიკეტეთა ასოციაციას გადაუწყვეტია ფინანსურად დაეხმაროს ამ ქალაქის ბავშვთა სახლს. ამიტომაც ჩამომსხდარან ბავშვებთან ნაკრების კაპიტანი ნასირ ჰუსეინი (შუაში), ენდრიუ ფლინტოფი და ეშლი ჯაილზი.



REUTERS კალკუტიდან



REUTERS მელბურნიდან

# საკამზე რაღაც ეგდო

სადღაც ცივა, სადღაც კი გვარიანად ცხელა. ავსტრალიის ღია პირველობა ჩოგბურთში ხომ დიდი სლემის პირველი შეჯიბრებაა. ეს შილიფად მოსილი გოგო კი რაღაცას შეუწუხებია. თუმცა, დიდად საჯავრო არც არაფერია. ბრიტანეთის დროშა ჯერჯერობით ამაყად ფრიალებს კორტის თავზე და ტიმ ჰენმანიც ამარცხებს თავის ბელარუს მეტოქე ვლადიმირ ვოლჩკოვს, 6:3, 6:4, 6:1.



REUTERS მადონა დი კამპილიოდან

# ტრადიციულად

ზამთარი ისე არ ჩაივლის, იტალიის ალპებში სანავარდოდ და ჟურნალისტებთან შესახვედრად არ ავიდეს „ფერარის“ მეფორმულეთა გუნდი. სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში ყოველთვის სიმყუდროვეა და მიხაელ და კორინა შუმახერები მზეს ეფიცხებიან. რუბენს ბარიკელოც აქა ყოფილა, ოღონდ სურათში ვეღარ მოვახვედრეთ.



REUTERS მოსკოვიდან

# ოლიმპიადის სურნელი

ერთმანეთისგან მოშორებულ მოსკოვსა და ლოს ანჯელესში ოლიმპიური ამბები ტრიალებს. კარსმომდგარ ზამთრის ოლიმპიადას რუსები თავიანთი გუნდის გამოსასვლელი სამოსის ჩვენებით ხვდებიან, ლოს ანჯელესში ჩამოვლილ ოლიმპიურ ჩირაღდანს კი განთქმული არნოლდ შვარცენეგერი ეგებება.



REUTERS ლოს ანჯელესიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გორგოძიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუგელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge